პასკალ ფონტენი

პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა
ინსტიტუტის პროფესორი

ევროპული ინტეგრაციის ისტორია

სარჩევი

1	ევროპული ინტეგრაციის მოკლე ისტორია	5
2	ევროკავშირის ინსტიტუტები	9
3	საერთო ბაზარი	15
4	ერთიანი პოლიტიკა	21
5	ეკონომიკური და სავალუტო კავშირი	27
6	პოლიტიკური კავშირი და თავდაცვა	33
7	ევროპა ხალხის სამსახურში	37
8	ევროკავშირის გაფართოება	42
9	ევროკავშირი და მსოფლიო	47
10	როგორი იქნება ევროპა 21-ე საუკუნეში?	54

უმთავრესი თარიღები ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში 57

ევროპული ინტეგრაციის მოკლე ისტორია

დიდი დრო გავიდა, სანამ ერთიანი ევროპა – ფილოსოფოსებისა და მეოცნებეების იდეალი – პოლიტიკურ კონცეფციად ჩამოყალიბდებოდა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შორეულ, მაგრამ რეალურ მიზნად იქცეოდა. იდეა ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოების შესახებ ჰუმანისტურ-პაციფისტური ოცნების ნაწილი იყო, ოცნებისა, რომელიც დაამსხვრია იმ კონფლიქტებმა, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის კონტინენტს აურაცხელი ნგრევა რომ მოუტანა. ოცნება „ახალ ევროპაზე," რომელიც გადალახავდა ანტაგონისტურ ნაციონალიზმს, საბოლოოდ იმ მოძრაობებიდან აღმოცენდა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოიშვა ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპულ ინტეგრაციას ბიძგი მისცა ევროპის ფედერალისტური და ფუნქციონალისტური მოწყობის იდეებმა. ამ იდეათა ავტორები არიან იტალიელი ფედერალისტი ალტიერო სპინელი და ჟან მონე, ადამიანი, რომელმაც უზრუნველყო შუმანის გეგმის – ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების (ECSC) შექმნის – განხორციელება (ეს გაერთიანება 1951 წელს შეიქმნა). ფედერალისტური დამოკიდებულების არსია იდეა, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივმა, რეგიონულმა და ეროვნულმა ხელისუფლებებმა უნდა ითანამშრომლონ და შეავსონ ერთმანეთი.

ფუნქციონალისტური დამოკიდებულება უპირატესობას ანიჭებს სუვერენიტეტის თანდათანობით გადასვლას ცალკეული სახელმწიფოებისგან თანამეგობრობის ხელში. დღესდღეობით ორივე ზემოაღნიშნული დამოკიდებულების მიმდევრები ერთ აზრზე შეთანხმდნენ – ეროვნულ და რეგიონულ ხელისუფლებებს უნდა შეუთავსდეს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ევროპული ინსტიტუტები, რომლებსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ სფეროებზე, სადაც ერთობლივი მოქმედება უფრო შედეგიანი იქნება, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოებისა: ეს სფეროებია საერთო ბაზარი, მონეტარული პოლიტიკა, ეკონომიკური და სოციალური კავშირები, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, დასაქმების პოლიტიკა, გარემოს დაცვა, საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა, თავისუფლებისა და მართლმსაჯულების დამკვიდრება.

1998 წლის ევროკავშირი ამ იდეების ხორცშესხმა და მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს; მისი კომპეტენცია ვრცელდება 15 წევრი სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. პარიზის ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება (ECSC), რომის ხელშეკრულებები, რომელთა შედეგია ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა (EEC) და ატომური ენერგიის დარგში ევროპის თანამშრომლობის (Euratom) (1957) ორგანიზაციები, და რომლებიც შემდგომში შესწორებული იქნა ერთიანი ევროპული აქტით (1986), მაასტრიხტის ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ (1992) და, ბოლოს, ამსტერდამის ხელშეკრულება (1997), შეადგენენ ევროკავშირის კონსტიტუციურ საფუძველს, რომელიც მის წევრ სახელმწიფოებს უფრო მტკიცედ აკავშირებს, ვიდრე სუვერენულ სახელმწიფოებს შორის დადებული რომელიმე სხვა შეთანხმება. ევროკავშირი თავად შეიმუშავებს კანონმდებლობას, რომელიც უშუალოდ მის მოქალაქეებზე ვრცელდება და განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს მათ.

თავდაპირველად ევროგაერთიანების საქმიანობა შემოიფარგლებოდა ექვს დამაარსებელ წევრ ქვეყანას (ბელგიას, საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას, ლუქსემბურგსა და ნიდერლანდებს) შორის ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზრის შექმნით. ომისშემდგომ პერიოდში ევროგაერთიანება ესახებოდათ ინსტიტუციურ სტრუქტურად, რომელიც განვითარების და თანამშრომლობის თანასწორ პირობებს უქმნიდა როგორც გამარჯვებულ, ისე დამარცხებულ ქვეყნებს, და ამით ევროპაში მშვიდობიანი პროცესის განვითარებას უწყობდა ხელს.

1957 წელს, როცა სამი წელი იყო გასული, რაც საფრანგეთის ნაციონალურმა ასამბლეამ უარყო წინადადება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის შესახებ, ექვსმა დამფუძნებელმა სახელმწიფომ გადაწყვიტა მუშახელის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების გასაადვილებლად დაეარსებინათ ეკონომიკური თანამეგობრობა. 1968 წლის 1 ივლისს გაუქმდა საბაჟო გადასახადი სამრეწველო საქონელზე, ხოლო დეკადის ბოლოსათვის შემოღებული იქნა ერთიანი პოლიტიკა (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და კომერციის სფეროებში).

პირველი ექვსი წევრის წარმატებამ უბიძგა დანიას, ირლანდიას და გაერთიანებულ სამეფოს, დაესვათ საკითხი თანამეგობრობაში მათი გაწევრიანების თაობაზე. საბოლოოდ, მოლაპარაკების ხანგრძლივი და რთული პროცესის შემდეგ, ისინი 1972 წელს მიიღეს თანამეგობრობის წევრებად; ამ ხნის მანძილზე საფრანგეთმა, რომელსაც მაშინ გენერალი დე გოლი ედგა სათავეში, ორგზის გამოიყენა ვეტოს უფლება: ერთხელ 1961 წელს, ხოლო მეორედ – 1967 წელს. პირველ გაფართოებას, რომლის შედეგადაც წევრი ქვეყნების რაოდენობა ექვსიდან ცხრამდე გაიზარდა, მოჰყვა ევროკავშირის კომპეტენციის სფეროს გაფართოება; მას დაეკისრა პასუხისმგებლობა სოციალურ, რეგიონულ და გარემოდაცვით საკითხებზე.

ეკონომიკური კონვერგენციისა და საერთო ვალუტის აუცილებლობა აშკარა გახდა 1970-იანი წლების დასაწყისში, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეაჩერა დოლარის კონვერტირება. ამ დროს დაიწყო მსოფლიო მასშტაბით ფულადი არასტაბილურობის პერიოდი; ეს არასტაბილურობა გაღრმავდა ორი – 1973 წლისა და 1979 წლის – ნავთობკრიზისით. 1979 წელს ევროპული მონეტარული სისტემის შემოღებამ ხელი შეუწყო გაცვლითი კურსების სტაბილიზებას და უბიძგა წევრ-სახელმწიფოებს, გაეტარებინათ

მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, დახმარება გაეწიათ ერთმანეთისთვის და ესარგებლათ იმ პრივილეგიებით, რომლებსაც მათ ღია ეკონომიკური ზონის შექმნა მიანიჭებდა.

ევროგაერთიანება სამხრეთის მიმართულებით გაფართოვდა, როცა 1981 წელს მის შემადგენლობაში შევიდა საბერძნეთი, ხოლო 1986 წელს — ესპანეთი და პორტუგალია. ამ გაფართოებამ კიდევ უფრო აუცილებელი გახადა სტრუქტურული პროგრამების განხორციელება თორმეტი წევრი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში არსებული უთანასწორობის შესამცირებლად. ამ პერიოდში გაიზარდა ევროგაერთიანების როლი საერთაშორისო მასშტაბით — დიდო ახალი ხელშეკრულებები სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებთან, რომლებიც ევროგაერთიანებას დაუკავშირდნენ 1975, 1979, 1984 და 1989 წლების ლომეს კონვენციებით.

მარაკეშში 1994 წლის 15 აპრილს "GATT"-ის (ზოგადი შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ) ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების დადებით მსოფლიო ვაჭრობა თავისი განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. ევროკავშირმა, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა როგორც ბლოკი, ყოველი ღონე იხმარა, რომ მოლაპარაკებები თავისი სახელით და თავისი ინტერესების გასამარჯვებლად წარემართა.

ამჟამად ევროკავშირი, რომელიც უკვე წარმოადგენს მსოფლიოს უმთავრეს სავაჭრო ძალას, მუშაობს იმ სტრუქტურების განსავითარებლად, რომლებიც უფრო ფართოდ წარმოაჩენს მას საერთაშორისო არენაზე და მიზნად ისახავს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებას.

მსოფლიო კრიზისმა და შიდა უთანხმოებებმა ფინანსური ტვირთის განაწილების თაობაზე 1980-იანი წლების დასაწყისისათვის „ევროპესიმიზმის" აღმოცენება გამოიწვია. 1985 წლიდან მოყოლებული, შეიმჩნევა ევროგაერთიანების გამოცოცხლების იდეისადმი უფრო ოპტიმისტური დამოკიდებულება. ევროკომისიის (მაშინდელი პრეზიდენტი — ჟაკ დელორი) მიერ 1985 წელს გამოცემული „თეთრი წიგნის" საფუძველზე ევროგაერთიანებამ მიზნად დაისახა 1993 წლის 1 იანვრისათვის საერთო ბაზრის დაარსება. 1986 წლის თებერვალში ხელმოწერილმა ერთიანმა ევროპულმა აქტმა დაადასტურა ეს პატივმოყვრული მიზანი და შემოიღო ახალი პროცედურები შესაბამისი კანონმდებლობის მისაღებად. ეს კანონმდებლობა ძალაში შევიდა 1987 წლის 1 ივლისს.

ბერლინის კედლის დანგრევამ, რასაც 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლებამ საბჭოური კონტროლისაგან და მათმა შემდგომმა დემოკრატიზაციამ, აგრეთვე 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლამ გადაასხვაფერა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურა. ევროგაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს თავიანთი კავშირების გაღრმავება და მოილაპარაკეს, დადოთ ახალი ხელშეკრულება, რომლის მთავარ ასპექტებზე შეთანხმდნენ მაასტრიხტში გამართულ საბჭოს სხდომაზე 1991 წლის 9 და 10 დეკემბერს.

ხელშეკრულებამ ევროკავშირის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს, წევრი სახელმწიფოებისათვის პატივმოყვრული პროგრამა დასახა: საერთო ევროპული ვალუტა 1999 წლისათვის, ახალი ერთიანი პოლიტიკა, ევროპის მოქალაქეობა, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და შიდა უსაფრთხოება. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიუშავეს ახალი ხელშეკრულება, რომელიც 1997 წლის 2 ოქტომბერს იქნა ხელმოწერილი ამსტერდამში; ამ ხელშეკრულების საფუძველზე მეტი ძალა შეიძინა ევროკავშირის პოლიტიკამ და გაფართოვდა მისი უფლებები, განსაკუთრებით კანონის დაცვის სფეროში თანამშრომლობის, ადამიანების თავისუფალი გადაადგილების, საგარეო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხრივ. ევროპარლამენტს, ევროკავშირის დემოკრატიულ რუპორს, ახალი უფლებამოსილებანი მიენიჭა, რამაც დაადასტურა მისი, როგორც კანონმდებლის, როლი.

1995 წლის 1 იანვარს ევროკავშირს შეუერთდა კიდევ სამი ქვეყანა. ავსტრიამ, ფინეთმა და შვეციამ თავიანთი თავისებური ხასიათის შესაბამისად განავრცეს ევროკავშირი და გზა მისცეს ახალ მიმართულებებს ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში. თხუთმეტი წევრისგან შემდგარი კავშირი ამჟამად ორი უმთავრესი ამოცანის წინაშე დგას:

– შემოიერთოს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანა და კვიპროსი; ამისათვის ევროპული საბჭოს ლუქსემბურგის სხდომაზე, 1997 წლის 13 დეკემბერს, გადაწყდა, 1998 წლის გაზაფხულზე დაიწყოს მოლაპარაკება წევრობის თაობაზე კვიპროსთან;
– გამოიყენოს ფულადი ერთიანობის დინამიკა; ეს ფულადი ერთიანობა, დამყარებული 1998 წლის 2 მაისს საერთო ვალუტის – ევროს შემოღებაზე, უფრო დააახლოებს წევრი სახელმწიფოების ეკონომიკას და უზრუნველყოფს დასაქმების მუდმივ ზრდას.

ვერც ერთი ეს ამოცანა ვერ შესრულდება მნიშვნელოვანი ძალისხმევის გარეშე. როგორ შეძლებს 25-ზე მეტი წევრისგან შემდგარი ევროკავშირი მოღვაწეობას, თუ არ გაძლიერდა გადაწყვეტილებათა მიმღები მექანიზმები, თუ არ განმტკიცდა სოლიდარობის პოლიტიკა და არ გაიზარდა ერთობლივი მოქმედებისგან მიღებული სარგებელი, რაც შედეგიანიც არის და სამართლიანიც? უფრო ზოგადად, სანამ გაფართოების შედეგად იზრდება ევროკავშირის ინტერესებისა და კონცეფციების ჰეტეროგენული ბუნება, როგორ უნდა იქნეს შენარჩუნებული წევრი სახელმწიფოების კონსენსუსი ევროპელთა მიერ დასახულ ძირითად მიზნებთან და მათი მიღწევის საშუალებებთან დაკავშირებით? 1997 წლის ივლისში ევროკომისიამ, ჟაკ სანტერის ხელმძღვანელობით, წამოაყენა თავისი „პროგრამა 2000 წლისათვის", რომლის საფუძველზეც წევრ სახელმწიფოთა მთავრობები საფუძვლიანად გადახედავენ სტრუქტურულ პოლიტიკას და საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას.

ყველაფერი ზემოთქმულის შემდეგ ევროკავშირს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა პროგრესის გზით სიარული; იგი უნდა გახდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ეფექტიანიც იქნება და დემოკრატიულიც, გადაწყვეტილებათა მიღებასაც შეძლებს და მოქმედებასაც, თანაც თავისი წევრების ინდივიდუალობის შენარჩუნებასაც მოახერხებს. თუ ევროკავშირი არ გააძლიერებს თავის სტრუქტურებს და არ მოახდენს გადაწყვეტილებათა მიღების რაციონალიზაციას, იგი აღმოჩნდება დაუძლურების ან პარალიზების პერსპექტივის წინაშე. ჩანაფიქრის სტადიაში მყოფი „უფრო დიდი და ძლიერი ევროპა" ორგანიზებულ ძალად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა, თუ იმგვარად აშენდება, რომ შეძლოს ერთსულოვანი მსჯელობა და მოქმედება.

ევროპული ინტეგრაციის თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ ღრმა კვალი დაჩნია კონტინენტის განვითარებას და მისი მაცხოვრებლების ურთიერთობებს. შეიცვალა, აგრეთვე, ძალთა თანაფარდობა. დღეს ყველა მთავრობას, მიუხედავად მისი პოლიტიკური შემადგენლობისა, გაცნობიერებული აქვს, რომ აბსოლუტურმა ეროვნულმა სუვერენიტეტმა დრო მოჭამა. მხოლოდ ძალების გაერთიანებით, მხოლოდ შრომით „გაზიარებული ბედ-იღბლის" (ეს გახლავთ ციტატა ხელშეკრულებიდან ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების შესახებ) მისაღწევად შეუძლიათ ევროპის ასაკოვან ერებს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზით სიარული და მსოფლიოში თავიანთი გავლენის შენარჩუნება.

ისევე, როგორც ყოველთვის, ევროკავშირის მეთოდი დღესაც გულისხმობს ეროვნული და საერთო ინტერესების მუდმივ გაწონასწორებას, მრავალფეროვან ეროვნულ ტრადიციათა პატივისცემასა და ცალკეულ ეროვნებათა ინდივიდუალობის შენარჩუნებას. ამ მეთოდის (რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ღრმად ფესვგადგმული მტრობის, პირველობის კომპლექსისა და საომარი ტრადიციების გადალახვის საშუალება) გამოყენების გზით შესაძლებელი გახდა ევროპის დემოკრატიული ერების გაერთიანება ცივი ომის პირობებში თავისუფლების შესანარჩუნებლად. აღმოსავლეთ-დასავლეთის ანტაგონიზმის განელება და კონტინენტის პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება საერთო ევროპული სულისკვეთების ტრიუმფია, ეს კი ევროპელებს, რომლებიც მომავლისკენ იხედებიან, დღეს განსაკუთრებით ესაჭიროებათ.

ევროკავშირის ინსტიტუტები

უფრო ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ევროკავშირს განასხვავებს მისი უნიკალური ინსტიტუციური სტრუქტურა. ევროპულ ხელშეკრულებათა დადებისას წევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემენ იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ და საერთო ინტერესებს. ეს ინსტიტუტები ავსებენ ერთიმეორეს და ყოველ მათგანს გარკვეული როლი აკისრია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

გადაწყვეტილებათა მიმღები მთავარი ინსტიტუტია ევროკავშირის საბჭო (Council of the European Union). იგი შედგება 15 წევრი სახელმწიფოს მინისტრებისგან, რომელთაც აკისრიათ პასუხისმგებლობა მოცემულ შეხვედრაზე განსახილველ პოლიტიკურ სფეროზე: საგარეო საქმეებზე, სოფლის მეურნეობაზე, მრეწველობაზე, ტრანსპორტზე, გარემოს დაცვაზე და ა.შ.

საბჭო, რომელიც წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენს, შეიმუშავებს და გამოსცემს ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებს (ინსტრუქციებს, დირექტივებსა და გადაწყვეტილებებს). ის გახლავთ კავშირის საკანონმდებლო ორგანო, თუმცა ამ ფუნქციას ევროპარლამენტთან ინაწილებს. გარდა ამისა, საბჭო და პარლამენტი ერთობლივად ახორციელებენ გაერთიანების ბიუჯეტის კონტროლს. საბჭო ღებულობს საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა შესახებ მოლაპარაკებას ევროკომისია აწარმოებს. დაბოლოს, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 202-ე[1] (ყოფილი 145-ე) მუხლის

[1] ხელშეკრულების მუხლები მოყვანილია „ამსტერდამის ხელშეკრულების ხელმოწერის (1997 წლის 2 ოქტომბერს) შემდეგ მიღებული „კონსოლიდირებული ხელშეკრულების" ვარიანტიდან. ნუმერაციის ეს სისტემა ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როცა ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნება წევრ სახელმწიფოებში.

თანახმად, საბჭო პასუხისმგებელია წევრი ქვეყნების ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირებაზე.

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 205-ე (ყოფილ 148-ე) მუხლში განხილულია განსხვავება ერთხმად, ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებებსა და კვალიფიცირებული უმრავლესობით (62 ხმა 87-იდან) მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის.

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა კვალიფიცირებული უმრავლესობა (62 ხმა), ხმები შემდეგნაირად ნაწილდება: საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას და გაერთიანებულ სამეფოს ათ-ათი ხმის უფლება აქვთ; ესპანეთს — რვა; ბელგიას, საბერძნეთს, ნიდერლანდებს და პორტუგალიას — ხუთ-ხუთი, ავსტრიას და შვეიცას — ოთხ-ოთხი, დანიას, ფინეთსა და ირლანდიას — სამ-სამი, ხოლო ლუქსემბურგს — ორი ხმის უფლება.

ამსტერდამის ხელშეკრულება კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრას ახალ მასშტაბს სძენს. ხმების კვალიფიცირებული უმრავლესობა საჭიროა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების ახალ დებულებათა უმეტესობის მისაღებად: ეს არის წინადადებები დასაქმების თაობაზე, თანაბარი შესაძლებლობები მამაკაცებისა და ქალებისათვის, ბრძოლა საზოგადოებიდან გარიყვის წინააღმდეგ, მოსახლეობის ჯანმრთელობა, კანონის დარღვევის საწინააღმდეგო ზომები, გამჭვირვალობა, საბაჟოების თანამშრომლობა, სტატისტიკა, უკიდურეს პერიფერიებში მდებარე რეგიონები და სამეცნიერო კვლევის პროგრამა, რომლის მისაღებადაც ამსტერდამის მოლაპარაკებამდე ერთსულოვნება იყო საჭირო. ერთსულოვნება საჭიროა მხოლოდ „კონსტიტუციური" მნიშვნელობის (ხელშეკრულებათა შესწორებები ან ახალი წევრის მიღება) საკითხებთან, ანდა განსაკუთრებით დელიკატურ სფეროებთან, მაგალითად, საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებით.

საბჭოს ხელმძღვანელობა ყოველ ექვს თვეში იცვლება. საბჭოსათვის განსახილველ საკითხებს ამზადებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი „კორეპერი," რომელსაც რიგრიგობით უწევენ დახმარებას სახელმწიფო მოხელეებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფები წევრი ქვეყნების შესაბამისი სამინისტროებიდან. არსებობს, აგრეთვე, გენერალური სამდივნო, რომლის ბინაც ბრიუსელში მდებარეობს.

ევროპული საბჭო (European Council) ჩამოყალიბდა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების (საფრანგეთის შემთხვევაში — სახელმწიფოს მეთაურის) რეგულარულ შეკრებათა 1974 წელს დაწყებული პრაქტიკის საფუძველზე, ხოლო ოფიციალურად 1987 წელს გაფორმდა ერთიანი ევროპული აქტით. ევროპული საბჭო იკრიბება სულ მცირე წელიწადში ორჯერ და მას ევროკომისიის პრეზიდენტიც ესწრება. ევროპარლამენტის პრეზიდენტი სიტყვით მიმართავს ევროპული საბჭოს ყოველ შეკრებას. თავდაპირველი მოსაზრება იყო, ოფიციალური სახე მიეცათ იმ სამიტებისთვის, რომლებიც 1961 წლიდან დროდადრო ტარდებოდა რომელიმე წევრი სახელმწიფოს ინიციატივით.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში საერთო ევროპული საქმეების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ნათელი გახდა, რომ საჭიროა ცალკეული ქვეყნების ლიდერთა შეხვედრები კავშირის მიერ განსახილველ მნიშვნელოვან საკითხებზე მოსათათბირებლად. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ევროპული საბჭოს როლი განსაზღვრა, როგორც ევროკავშირის უმთავრეს პოლიტიკურ წამოწყებათა ერთგვარი სტარტი და როგორც ფორუმი ევროკავშირის საბჭოში გადაუწყვეტელ ურთიერთსაწინააღმდეგო საკითხთა გადასაწყვეტად. მალე ევროპულმა საბჭომ თავის წევრთა მრავალპროფილიანობისა და შინაარსიანი დებატების წყალობით გამართლა ეს მოლოდინი. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებით ევროპული საბჭო წყვეტს, აგრეთვე, მიმდინარე საერთაშორისო საკითხებს. ეს პოლიტიკა არის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანონ დიპლომატიური პოზიციები და გამოვიდნენ ერთიანი ფრონტით.

ევროპის პარლამენტი (European Parliament) ფორუმია დემოკრატიული კამათისათვის. მას მოდარაჯე ძაღლის ფუნქცია აკისრია და, გარდა ამისა, გარკვეულ როლს თამაშობს საკანონმდებლო პროცესშიც.

ევროპარლამენტის არჩევნები ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით (პირველი არჩევნები 1979 წლის ივნისში ჩატარდა). ამჟამად პარლამენტში 626 ადგილია. გერმანიას 99 ადგილი აქვს, საფრანგეთს, იტალიას და გაერთიანებულ სამეფოს — თითოეულს 87, ესპანეთს — 64, ნიდერლანდებს — 31, ბელგიას, საბერძნეთს და პორტუგალიას — 25-25, შვეიცას — 22, ავსტრიას — 21, დანიას და ფინეთს — 16-16, ირლანდიას — 15, ხოლო ლუქსემბურგს — 6. ითვალისწინებს

რა ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივას, ამსტერდამის ხელშეკრულება ევროპარლამენტში ადგილების რაოდენობას 700 ადგილით განსაზღვრავს.

პლენარულ სესიაზე პარლამენტი სტრასბურგში იკრიბება, პარლამენტის 20 კომიტეტის და პოლიტიკური ჯგუფების თავმჯდომარის ჩვეულებრივი ადგილი კი ბრიუსელია; პლენარული შეხვედრებისათვის კომიტეტები ამზადებენ ნიადაგს. პარლამენტის სამდივნო ლუქსემბურგში მდებარეობს.

ევროპარლამენტს, ევროკავშირის საბჭოსთან ერთად, საკანონმდებლო ფუნქცია აკისრია: მას გარკვეული წესები მიუძღვის დირექტივებისა და ინსტრუქციების შემუშავებაში; გარდა ამისა, ევროპარლამენტი ამზადებს შესწორებათა პროექტებს, რომლებსაც შემდეგ ევროკომისიას გადასცემს.

- ერთიანი ევროპული აქტით ხელშეკრულებებში შეტანილი იქნა შესწორებები და დაწესდა პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს ორ წაკითხვას პარლამენტში და ორს — საბჭოში, და რომელიც ცნობილია „თანამშრომლობის პროცედურის" სახელით; იგი უფლებას ანიჭებს ევროპარლამენტს, პოლიტიკურ საკითხთა უფრო ფართო სპექტრი (განსაკუთრებით საერთო ბაზართან დაკავშირებით) მოიცვას და გადაწყვეტილებებიც მიიღოს; თანამშრომლობის პროცედურა გაუქმდა ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე (გარდა რამდენიმე შემთხვევისა, რომლებიც ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შესახებ თავშია მოცემული), რაც მიზნად ისახავდა საკანონმდებლო პროცედურების გამარტივებას და გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების პროცესის გააქტიურებას.
- მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ევროპარლამენტს მიანიჭა უფლება, საბჭოსთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება სხვადასხვა სფეროში, რითაც კიდევ უფრო გაფართოვა მისი უფლებამოსილება; ეს სფეროებია მშრომელთა მიმოსვლის თავისუფლება, ბიზნესის წამოწყების თავისუფლება, მომსახურებით უზრუნველყოფის თავისუფლება, საერთო ბაზარი, განათლება, სამეცნიერო კვლევა, გარემოს დაცვა, ტრანსევროპული ქსელები, ჯანდაცვა, კულტურა და მომხმარებლის ინტერესების დაცვა. დღეს ევროპარლამენტს შეუძლია საბჭოს ზოგადი პოზიციის უარყოფა და საკანონმდებლო პროცესის შეჩერება იმ პირობით, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ევროპარლამენტის წევრთა აბსოლუტური . უმრავლესობა, თუმცა კი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შეთანხმების პროცედურის არსებობაც.
- ევროპარლამენტის მიერ საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის ახალ სფეროებზე გავრცელებით ამსტერდამის ხელშეკრულებამ გაამყარა ევროპარლამენტის საკანონმდებლო როლი. ეს ახალი სფეროებია, მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ტრანსპორტი, ადამიანების მიმოსვლის თავისუფლება, გარდა ამისა, სოციალური და დასაქმების პოლიტიკის ზოგიერთი სფერო. აქტი, რომელიც ეხება გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების პროცედურას (მუხლი 249; ყოფილი მუხლი 189ბ), მოითხოვს საბჭოს და პარლამენტის თანხმობას, ანდა ამ უკანასკნელისგან ოპოზიციის არარსებობას.

დაბოლოს, ერთიანი ევროპული აქტის თანახმად, აუცილებელია ევროპარლამენტის თანხმობა საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებისა და ასოცირებული შეთანხმებების დადებისას და ევროკავშირის ყველა შემდგომი გაფართოებისას. მაასტრიხტში გადაწყდა, რომ პარლამენტის თანხმობა საჭირო იქნება, აგრეთვე, უნიფიცირებული საარჩევნო პროცედურისათვის, მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლების და სტრუქტურული ფონდებისთვის (იხ. თავი 4). ამსტერდამის ხელშეკრულება ითვალისწინებს, აგრეთვე. ადამიანის ძირითად უფლებათა სერიოზული, გამუდმებული დარღვევის შემთხვევაში წევრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დასმას.

ევროპარლამენტი საბჭოსთან საბიუჯეტო ძალაუფლებასაც ინაწილებს. მას შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს ბიუჯეტი, რაც წარსულში რამდენჯერმე გაუკეთებია. როცა ეს ხდება, მთელი პროცედურა მეორდება.

ბიუჯეტს ამზადებს ევროკომისია. ამის შემდეგ იგი საბიუჯეტო ხელისუფლების ორი ორგანოს — პარლამენტის და საბჭოს კომპეტენციაში გადადის. თუ საბჭოს მოსაზრებას მეტი მნიშვნელობა ენიჭება „სავალდებულო", ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო, ხარჯებთან დაკავშირებით, „არასავალდებულო" ხარჯების

თაობაზე გადამწყვეტია პარლამენტის სიტყვა. პარლამენტს შეუძლია ამ ხარჯების გადაკეთება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში.

ევროპარლამენტი სრულად იყენებს თავის საბიუჯეტო ძალაუფლებას, რათა გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე.

რა თქმა უნდა, პარლამენტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, ბიძგი მისცეს პოლიტიკური მოვლენების განვითარებას. ის არის ევროპული ფორუმი, სადაც „ერთ ქვაბში იხარშება" 373 მილიონი ადამიანის პოლიტიკური და ეროვნული შეხედულებები. ხშირად საჭირო ხდება ახალი პოლიტიკის შემუშავება, ძველის განვითარება ან გადასხვაფერება. 1984 წელს პარლამენტის მიერ მიღებული პროექტი ხელშეკრულებისა ევროკავშირის შესახებ გახდა კატალიზატორი, რომელმაც წევრი სახელმწიფოები საბოლოოდ დააყენა ერთიანი ევროპული აქტისკენ მიმავალ გზაზე. სწორედ პარლამენტმა შეუწყო ხელი ორი მთავრობათაშორისი კონფერენციის — ეკონომიკური და სავალუტო კავშირის და პოლიტიკური კავშირის თემაზე — მოწვევას. პარლამენტი უშუალოდ იყო დაკავშირებული მოლაპარაკებასთან ამსტერდამის ხელშეკრულების თაობაზე; ამ მოლაპარაკებას მისი ორი დამკვირვებელიც ესწრებოდა. საჭიროა, რომ პარლამენტი კიდევ უფრო ღრმად ჩაერთოს ხელშეკრულებათა მომავალი შესწორების საქმეში.

დაბოლოს, ევროპარლამენტი არის ორგანო, რომელიც ახორციელებს ევროკავშირის დემოკრატიულ კონტროლს. ის ამტკიცებს ევროკომისიის პრეზიდენტს, შეუძლია მისი განთავისუფლება უნდობლობის საფუძველზე, თუ ამას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა ორი მესამედი. გარდა ამისა, პარლამენტი ყოველწლიურად კომენტარს უკეთებს და კენჭს უყრის ევროკომისიის პროგრამას.

ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად, ევროპარლამენტმა უნდა წამოაყენოს თავისი არჩევნების საორგანიზაციო გეგმა; არჩევნები უნდა ჩატარდეს საყოველთაო კენჭისყრით „ყველა წევრი-სახელმწიფოსათვის საერთო პრინციპების" შესაბამისად. ევროპარლამენტი აკონტროლებს იმას, თუ როგორ ტარდება ერთიანი პოლიტიკა და ამ საკითხში ეყრდნობა ევროპის აუდიტორთა სასამართლოსგან მიღებულ ინფორმაციას. ევროპარლამენტი აკონტროლებს, აგრეთვე, ამ პოლიტიკის ყოველდღიურ მართვას, რისთვისაც ზეპირ და წერილობით შეკითხვებს უსვამს ევროკომისიასა და საბჭოს.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი მოახსენებს ევროპარლამენტს ევროპული საბჭოს ყოველ შეხვედრაზე მიღებული დასკვნების შესახებ.

1997 წლის იანვრიდან ევროპარლამენტის პრეზიდენტია ხოსე მარია ხილ-რობლეს ხილ-დელგადო.

ევროკავშირის მეორე უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია ევროკომისია (The European Commission).

ერთი კომისია სამივე თანამეგობრობისთვის (ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, ატომური ენერგიის დარგში ევროპის თანამშრომლობის ორგანიზაცია) დაარსდა მას შემდეგ, რაც 1967 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა ადმინისტრაციათა გამაერთიანებელი ხელშეკრულება. 1995 წლის 5 იანვარს კომისიის წევრთა რაოდენობა 20 კაცამდე გაიზარდა (საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთისა და გაერთიანებული სამეფოსათვის — ორ-ორი ადგილი, დანარჩენი ქვეყნებისთვის კი თითო-თითო). კომისიის წევრებს საერთო თანხმობის საფუძველზე ნიშნავენ წევრი სახელმწიფოები ხუთი წლის ვადით; კომისიის შემადგენლობა ევროპარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად, ევროკომისიის პრეზიდენტი ინიშნება წევრი სახელმწიფოების მთავრობათა საერთო თანხმობის საფუძველზე და ესეც ევროპარლამენტის მიერ დამტკიცებას საჭიროებს. დაბოლოს, წევრი სახელმწიფოები დანიშნულ პრეზიდენტთან ერთად ნიშნავენ კომისიის დანარჩენ წევრებს. მთელი კომისია კი პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

თავის მოვალეობათა შესრულებისას ევროკომისია დიდი დამოუკიდებლობით სარგებლობს. იგი გამოხატავს თანამეგობრობის ინტერესებს და არ ღებულობს ინსტრუქციებს ცალკეული წევრი სახელმწიფოებისაგან. ევროკომისია, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ხელშეკრულებათა შესრულებას, უზრუნველყოფს საბჭოს მიერ მიღებული ინსტრუქციებისა და დირექტივების სათანადო ხორცშესხმას. თანამეგობრობის კანონის გატარების უზრუნველსაყოფად მას შეუძლია რაიმე კონკრეტული შემთხვევის გადაცემა მართლ-

მსაჯულების სასამართლოსათვის. ევროკომისიას აქვს ინიციატივის გამოჩენის განსაკუთრებული უფლება, მას შეუძლია ნებისმიერ ეტაპზე ჩაერიოს საკანონმდებლო პროცესში, რათა ხელი შეუწყოს შეთანხმების მიღწევას საბჭოში ან საბჭოსა და პარლამენტს შორის. გარდა ამისა, ევროკომისიას საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხილვის საქმეში აღმასრულებელი ფუნქციაც აკისრია, მაგალითად, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის სფეროში. მნიშვნელოვანი ძალაუფლება აქვს კომისიას ერთიანი პოლიტიკის სხვადასხვა (მაგალითად, სამეცნიერო კვლევისა და ტექნოლოგიის, განვითარების ხელშეწყობისა და რეგიონული კაშირების) სფეროში მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

თუ პარლამენტი უნდობლობას გამოუცხადებს ევროკომისიას, ეს უკანასკნელი იძულებული იქნება, შეწყვიტოს საქმიანობა; მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

ევროკომისიას ზურგს უმაგრებს სამოქალაქო სამსახური, რომელიც ბრიუსელსა და ლუქსემბურგში მდებარეობს. ეს სამსახური შედგება 25 დეპარტამენტისაგან, რომლებსაც გენერალური დირექტორატები ეწოდება; ყოველი დირექტორატი პასუხისმგებელია ერთიანი პოლიტიკისა და ადმინისტრირების განხორციელებაზე გარკვეულ სფეროში. კონვენციური საერთაშორისო ორგანიზაციების სამდივნოებისგან განსხვავებით, ევროკომისია, რომელიც მეთვალყურეობს ხელშეკრულებათა შესრულებას, თავისი პროგრამატიკების განხორციელებაში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს. ჟაკ სანტერს ევროკომისიის პრეზიდენტის თანამდებობა 1995 წლის იანვრიდან უკავია.

ევროპულ თანამეგობრობათა მართლმსაჯულების სასამართლო (The Court of Justice of the European Communities), რომელიც ლუქსემბურგში მდებარეობს, შედგება 15 მოსამართლისა და ცხრა გენერალური ადვოკატისაგან, რომლებიც ინიშნებიან წევრ სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე ექვსი წლის ვადით. შესაძლებელია მათი ხელმეორედ დანიშვნა. წევრი სახელმწიფოები არჩევენ მათ „იმ პირებიდან, რომელთა მიუკერძოებლობა ეჭვს არ იწვევს.“ სასამართლოს ფუნქციაა, უზრუნველყოს თანამეგობრობის კანონის ინტერპრეტაცია და განხორციელება ხელშეკრულებათა შესაბამისად.

მაგალითად, სასამართლოს შეუძლია დადგინოს, რომ წევრმა სახელმწიფომ ვერ შეასრულა მისთვის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება; შეუძლია შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება თანამეგობრობის ინსტიტუტების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტები ხელშეკრულებებს (იმ შემთხვევაში, თუ აღიძვრება საქმე ამ აქტების გაუქმების თაობაზე); გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია გაიცეხოს ევროპარლამენტი, საბჭო ან კომისია, თუ ჩათვლის, რომ ისინი სათანადოდ ვერ მოქმედებენ.

მართლმსაჯულების სასამართლო ერთადერთი ორგანოა, რომელსაც უფლება აქვს, გამოიტანოს დასკვნა ხელშეკრულებათა სწორი ინტერპრეტაციისა და თანამეგობრობის ინსტიტუტების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტების კანონიერებისა და მათი ინტერპრეტაციის თაობაზე, როცა ამას რომელიმე წევრი სახელმწიფოს სასამართლო მოითხოვს. თუ ამგვარი საკითხი ეროვნული სასამართლოს წინაშე დადგება, შესაძლებელია, ზოგ შემთხვევაში კი აუცილებელიც, მართლმსაჯულების სასამართლოს ეთხოვოს წინასწარი გადაწყვეტილების მიღება. ეს არის ნიმუში გაერთიანების კანონის გამოყენებისა მთელი გაერთიანების ტერიტორიაზე.

— ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე მართლმსაჯულების სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს თანამეგობრობის ორგანოების მიერ ადამიანთა ძირითადი უფლებების დაცვა. გარდა ამისა, ხელშეკრულება სასამართლოს იურისდიქციას ავრცელებს ადამიანთა თავისუფლებისა და უშიშროების საკითხებზეც.

პირველი ინსტანციის სასამართლო (The Court of First Instance) დაარსდა 1989 წელს და მის შემადგენლობაშია 15 მოსამართლე. ამ სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს მართლმსაჯულების სასამართლოში შემოსული კანონთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც შეეხება დავებს ევროკომისიასა და კერძო პირებს ან ბიზნესის წარმომადგენლებს შორის ანდა ევროკომისიის წინააღმდეგ ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილ დავებს, აგრეთვე თანამეგობრობის ინსტიტუტებში თანამეგობრობასა და მის თანამშრომლებს შორის წამოჭრილ ადმინისტრაციული ხასიათის დავებს.

აუდიტორთა სასამართლო (The Court of Auditors), რომელიც 1975 წლის 22 ივლისს დაარსდა ხელშეკრულების საფუძველზე, შედგება 15 წევრისაგან. ისინი წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე და ევროპარ-

ლამენტთან მოთათბირების შემდეგ ინიშნებიან ექვსი წლის ვადით. სასამართლოს ფუნქციაა შემოსავლის და ხარჯების „კანონიერად და რეგულარულად" მიღებისა და მოხმარების შემოწმება, აგრეთვე თანამეგობრობის ფინანსური საქმეების სათანადოდ წარმართვის ზედამხედველობა. აუდიტორთა სასამართლოს მიერ მოპოვებული მონაცემები შედის წლიურ ანგარიშებში, რომლებიც ყოველი წლის ბოლოს დგება. მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე აუდიტორთა სასამართლოს თანამეგობრობის ინსტიტუტის სტატუსი მიენიჭა (ეს თანამეგობრობის მეხუთე ინსტიტუტია).

ამსტერდამის ხელშეკრულება აღიარებს აუდიტორთა სასამართლოს უფლებას, თავისი პროგრამატიების დასაცავად საქმე მართლმსაჯულების სასამართლოში აღძრას, და აფართოებს მის უფლებას თანამეგობრობის იმ სახსრების ვაკონტროლებაზე, რომლებსაც გარეშე ორგანიზაციები განაგებენ.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა (EEC) და ატომური ენერგიის სფეროში ევროპის თანამშრომლობის (Euratom) საქმეებში საბჭოსთან და კომისიასთან ერთად მონაწილეობს ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი. იგი შედგება 222 წევრისაგან, რომლებიც ეკონომიკისა და სოციალური სფეროს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები არიან. მრავალი საკითხის (სამუშაო ადგილები, ევროპის სოციალური ფონდი, პროფესიული მომზადება და სხვა) თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია ამ კომიტეტის აზრის მოსმენა; გარდა ამისა, კომიტეტს საკუთარი ინიციატივით შეუძლია წარადგინოს თავისი მოსაზრებები.

ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მეშვეობით თანამეგობრობის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ვაჭრობას, მრეწველობას და პროფესიულ კავშირებს.

რეგიონული კომიტეტი დაარსებულია მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე და შედგება რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებათა 222 წარმომადგენლისგან, რომლებსაც წევრი სახელმწიფოების რეკომენდაციის საფუძველზე ოთხ წელიწადში ერთხელ ნიშნავს საბჭო. საბჭო ან კომისია ეთათბირებიან კომიტეტს ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევების თაობაზე; გარდა ამისა, რეგიონულ კომიტეტს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმაც შეუძლია.

ამსტერდამის ხელშეკრულება განავრცობს იმ სფეროებს, სადაც აუცილებელია ამ ორ კომიტეტთან კონსულტირება.

საერთო ბაზარი

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში თანამეგობრობისთვის შემდეგი ამოცანაა ჩამოყალიბებული: „ეკონომიკური საქმიანობის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, ხანგრძლივი და გაწონასწორებული გაფართოება, მზარდი სტაბილურობა, ცხოვრების დონის სწრაფი გაუმჯობესება და წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაღრმავება." ამ ამოცანის მისაღწევად უნდა გახსნილიყო საზღვრები კერძო პირთა, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების გასაოლებლად, ერთიანი პოლიტიკისა და ერთიანი ფინანსური მექანიზმების არსებობა კი ხელს შეუწყობდა წევრი სახელმწიფოების კიდევ უფრო დაახლოებას.

1993 წლის 1 იანვრიდან საერთო ბაზრის შემოღებით თანამეგობრობამ თითქმის მიაღწია დასახულ მიზანს. მაგრამ რატომ დასჭირდა ამას 40 წელიწადზე მეტი, როცა შიდა საბაჟო გადასახადები და კვოტები გაუქმდა ჯერ კიდევ 1968 წლის ივლისში, გათვალისწინებულზე 18 თვით ადრე? მარტივი პასუხი ის არის, რომ საბაჟო გადასახადების ჰარმონიზება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა სახის გადასახადებისა; რომ პროფესიათა მარეგულირებელი წესები ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია; რომ მყარმა პროტექციონისტულმა ურთიერთობებმა, ტექნიკური სტანდარტების გავრცელებასთან ერთად, 1980-იანი წლების დასწყისში მხოლოდ ხელი შეუწყო ბაზრების განცალკევებას.

ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ, რომელმაც განსაკუთრებით მწვავედ განიცადა 1973 და 1980 წლების ნავთობკრიზისებით გამოწვეული დაღმავლობის პერიოდი, გარკვეული ზომები მიიღო მზარდი საერთაშორისო კონკურენციისგან თავისი ბაზრის დასაცავად.

1985 წელს ევროკომისიამ (მაშინდელი პრეზიდენტი – ჟაკ დელორი) მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: გამოსცა „თეთრი წიგნი," რომელმაც ცხადყო, რომ ჯერ კიდევ არსებობდა უამრავი დაბრკოლება და ბარიერი ერთიანი, 380 მილიონზე მეტი მომხმარებლის ბაზრის ჩამოყალიბების გზაზე.

„არაევროპულმა ხარჯებმა", ე. ი. სასაზღვრო დაბრკოლებებმა, ტექნიკურმა ბარიერებმა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებულმა პროტექციონიზმმა თითქმის 200 მილიარდი ეკიუ შეადგინა.[1]

სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა თორმეტ წევრ სახელმწიფოს, 1986 წლის თებერვალში ხელი მოეწერათ ერთიანი ევროპული აქტისათვის, რომელიც შეიცავს საერთო ბაზრის დასაარსებლად აუცილებელი დაახლოებით 270 ღონისძიების განხორციელების პროგრამას და განრიგს. ამით ამ სახელმწიფოებმა სათავე მისცეს ახალ წამოწყებას, რომელიც სწრაფად გამოიღებს ნაყოფს. ევროპული ბიზნესის სამყარომ, თვითდასაქმებულებმა და პროფესიულმა კავშირებმა მყისვე (საბოლოო ვადის – 1993 წლის დადგომამდე) მოახდინეს რეაგირება – მათ თავიანთი სტრატეგიები მიუსადაგეს ახალ წყობას, რომელიც მოხმარების, გადაადგილებისა და მუშაობის თვალსაზრისით არჩევანის მეტ თავისუფლებას მიანიჭებდა ყველას.

იმედია, რომ უკვე დაწყებული პროცესი მეტი თავისუფლების, უფრო ფართომასშტაბიანი კონკურენციისა და მზარდი აღმავლობის გარემოს შექმნის. ეს პროცესი უკვე შეუქცევადია. ფიზიკური, საგადასახადო და ტექნიკური ბარიერები ერთმანეთის მიყოლებით იმსხვრევა, თუმცა ზოგიერთ ისეთ დელიკატურ სფეროში, როგორიც არის, ვთქვათ, დანაზოგების დაბეგვრის სისტემის ჰარმონიზება, შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული.

დღეისათვის არსებული ვითარება

მთლიანობაში მოვლენები დამაკმაყოფილებლად ვითარდება.

უკვე გატარებული ღონისძიებები, ძირითადად, შეეხო შემდეგ საკითხებს:

- სახელმწიფო შესყიდვების ლიბერალიზებას, რაც გულისხმობს სამუშაოსთან და მომარაგებასთან დაკავშირებული კონტრაქტების თაობაზე წესების გამჭვირვალობას, კონტროლის გაძლიერებას და წესების გავრცელებას ისეთ მნიშვნელოვან ახალ სფეროებზე, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაციები;
- საგადასახადო სისტემის ჰარმონიზებას, რაც გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნის იმ დადგენილებათა ერთმანეთთან მიახლოებას, რომლებიც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, დამატებითი ღირებულების გადასახადსა და საქციზო გადასახადს;
- კაპიტალის ბაზრებისა და ფინანსური მომსახურების ლიბერალიზებას;
- სტანდარტიზებას, რომელიც მიღწეულია სერტიფიცირებისა და ტესტირებისადმი ახლებური მიდგომით, წევრ სახელმწიფოთა ეროვნული სტანდარტების ექვივალენტურობის აღიარებით და უშიშროებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების გარკვეული გათანასწორებით;
- ცალკეულ პირთა გადაადგილებისთვის ტექნიკური (სამუშაოს წარმოების თავისუფლება და პროფესიული კვალიფიკაციის ექვივალენტურობის აღიარება) და ფიზიკური (საზღვარზე შემოწმების გაუქმება) ბარიერების მოხსნას; მაგალითად, 1997 წლის ნოემბერში მიღებული დირექტივა პროფესიის შესახებ აადვილებს ამა თუ იმ პროფესიის გამოყენებას მთელს ევროპაში;
- ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების შესახებ კანონების ჰარმონიზებით და ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების (საავტორო ნიშნები და პატენტები) შესახებ კანონმდებლობის ერთმანეთთან მიახლოებით ხელს უწყობს თანამშრომლობას ბიზნესის სფეროში;

[1] ეკიუს გაცვლითი კურსი 1998 წლის მარტში: 1 ეკიუ – 0,66 გირვანქა სტერლინგი.

• მომსახურების (ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა და სხვ.) ლიბერალიზებას; ეს მომსახურება ევროკავშირის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 70%-ზე მეტს შეადგენს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჯერ მიღწეული არ არის ადამიანების მიმოსვლის სრული თავისუფლება. სხვა წევრ სახელმწიფოში ცხოვრების თუ მუშაობის მსურველ მშრომელთა გარკვეული კატეგორია ბევრ დაბრკოლებას აწყდება. წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი (თავმჯდომარე — სიმონ ვეილი), რომელიც ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების საკითხებს კურირებს, აღნიშნავს,[3] რომ ევროკომისიამ მიიღო გარკვეული ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მშრომელთა მობილურობის დონის ამაღლებას. ასეთი ზომაა, მაგალითად, სხვადასხვა პროფესიის (წყალსადენის ოსტატების, დურგლების და ა. შ.) საკვალიფიკაციო ნორმების დადგენა.

ახალი, „1999 წლისთვის დასახული მიზნისაკენ“

მთლიანობაში საერთო ბაზარი დაარსებულია და სწორი მიმართულებით ვითარდება. მაგრამ ეს პროცესი „უწყვეტი შემოქმედებითი პროცესია“ და შესაძლებელია, თუ აუცილებელიც არა, მასში პერიოდულად დამატებებისა და შესწორებების შეტანა. სწორედ ამ მოსაზრებით და არსებული ხარვეზებისა და დაბრკოლებების გათვალისწინებით წამოაყენა ევროკომისიამ 1997 წლის 16 და 17 ივნისს ამსტერდამის სამიტზე თავისი ახალი სამოქმედო პროგრამა საერთო ბაზრთან დაკავშირებით. აღნიშნული იყო, რომ „საერთო ბაზრის ამოქმედებიდან სამ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ წევრ სახელმწიფოებში კანონმდებლობის მხოლოდ 65 პროცენტი მოქმედებს სრულად.“ პროგრამა მოიცავს საგადასახადო სისტემას (წყაროსთან დაბეგრილი კაპიტალით მიღებული შემოსავალი, ენერგეტიკული პროდუქტების დაბეგვრა), კონკურენციის პოლიტიკას (ახალი წესები სახელმწიფო დახმარების და შეთანხმებების შესახებ), საერთო ბაზარს გაზის, საპენსიო ფონდებისა და სხვა სფეროებში.

შიდა უსაფრთხოება

ადამიანთა თავისუფალი მიმოსვლის პრინციპი ევროპის მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას პირად და პროფესიულ ცხოვრებაში ხელსაყრელ შესაძლებლობებს აძლევს. მაგრამ მთავრობებმა, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული გარკვეული საშიშროება, შეიმუშავეს მექანიზმები თანამეგობრობის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში თანამშრომლობა (ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების VI ნაწილი) მოიცავს ოთხ ძირითად ასპექტს:

• პოლიტიკურ თავშესაფართან დაკავშირებული კანონის ჰარმონიზება;

[3] ევროკომისიისთვის 1997 წლის 18 მარტს წარდგენილი მოხსენება.

- არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ევროკავშირის მასშტაბით იმიგრაციის შესახებ წესების შემოღება;
- პოლიციის თანამშრომლობა დანაშაულთან ეფექტიანად საბრძოლველად;
- სამოქალაქო და კრიმინალური კანონმდებლობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებათა პროექტების მომზადება.

მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში თანამშრომლობის შესახებ მიღებულ ახალ დადგენილებებში უნდა დაისახოს იმ დაბრკოლებათა გადაჭრის გზები, რომლებიც ხელს უშლის ადამიანების თავისუფალ მიმოსვლას. მაგალითად, ზომები, რომლებსაც უკვე მიმართეს შენგენის შეთანხმებაზე (იხ. ქვემოთ) ხელისმომწერმა მხარეებმა, საბოლოოდ ყველა წევრ სახელმწიფოზე გავრცელდება.

ამსტერდამის ხელშეკრულება თანამეგობრობას ახალ პასუხისმგებლობას აკისრებს შიდა უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. თანამშრომლობა უმეტესწილად თანამეგობრობის ინსტრუქციებს დაექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხუთწლიანი ვადა ზემოხსენებული ამოცანის შესასრულებლად, გადაწყვეტილებების მიღებას ამ საკითხებთან დაკავშირებით ჯერჯერობით ევროკავშირის საბჭო აგრძელებს.

თანამშრომლობა ეროვნულ პოლიციურ ძალებსა და კრიმინალურ საკითხებზე პასუხისმგებელ სხვა ორგანოებს შორის ისევ მთავრობათაშორისი სტრუქტურის ნაწილი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად თანამშრომლობის მეთოდები მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

შენგენი: საზღვრებისგან თავისუფალი სივრცე

1. უმთავრესი თარიღები

1984 წლის ივნისი: ევროპული საბჭოს ფონტენბლოს სხდომაზე მიღწეულია პრინციპული შეთანხმება გაერთიანების შიდა საზღვრებზე საბაჟო და პოლიციურ ფორმალობათა გაუქმების შესახებ.

1984 წლის ივლისი: საფრანგეთსა და გერმანიას შორის დადებული საარბრიუკენის შეთანხმებით გადადგმულია პირველი ნაბიჯი დასახული მიზნის მისაღწევად.

1985 წლის 14 ივნისი: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები ხელს აწერენ შენგენის შეთანხმებას, რომლითაც თავის თავზე იღებენ ერთმანეთთან საზიარო საზღვრებზე შემოწმების თანდათანობით გაუქმებას და ამ საზღვრების გადაკვეთის თავისუფლებას ნებისმიერი პირისათვის, შეთანხმების ხელისმომწერი ქვეყნის მოქალაქე იქნება ის, გაერთიანების სხვა წევრი სახელმწიფოსი თუ არაწევრი ქვეყნისა.

1990 წლის 19 ივნისი: ზემოხსენებულმა ხუთმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა კიდევ ერთ შეთანხმებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია თავისუფლად გადაადგილების პირობები და გარანტიები. ამ შეთანხმებას, რომელიც 142 მუხლს შეიცავს, მოჰყვა ეროვნულ კანონებში შესწორებათა შეტანა; იგი ექვემდებარება წევრი სახელმწიფოების პარლამენტების მიერ რატიფიცირებას.

1990 წლის 27 ნოემბერი: პირველ ხუთ სახელმწიფოს უერთდება იტალია.

1991 წლის 18 ნოემბერი: ზემოხსენებულ სახელმწიფოებს უერთდებიან ესპანეთი და პორტუგალია.

1992 წლის 6 ნოემბერი: ზემოხსენებულ სახელმწიფოებს უერთდება საბერძნეთი.

1995 წლის 26 მარტი: შენგენის შეთანხმება ძალაში შედის ბელგიას, გერმანიას, საფრანგეთს, ლუქსემბურგს, ნიდერლანდებს, ესპანეთსა და პორტუგალიის შორის; დასახულია გეგმა დანარჩენი ქვეყნების შემოერთებისა მას შემდეგ, რაც მოგვარდება საზღვრებთან დაკავშირებული საკითხები.

1995 წლის 21 აპრილი: ზემოხსენებულ სახელმწიფოებს უერთდება ავსტრია.

1995 წლის 16 ივნისი: დაიწყო მოლაპარაკება სკანდინავიის ქვეყნებთან.

1996 წლის 19 დეკემბერი: მომზადდა ხელშეკრულების პროექტი და შეთანხმება დანიის, ფინეთის და შვეციის შემოერთებისთვის.

1997 წლის 2 ოქტომბერი: ამსტერდამის ხელშეკრულების რატიფიცირება; ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა შენგენის შეთანხმებაც; შენგენის ზონაში არ შედიან ირლანდია და გაერთიანებული სამეფო.

1997 წლის 26 ოქტომბერი: ძალაში შედის შეთანხმება იტალიასთან საჰაერო სივრცის კონტროლის თაობაზე.

1997 წლის 1 დეკემბერი: ძალაში შედის შეთანხმება ავსტრიასთან საჰაერო სივრცის კონტროლის თაობაზე.

1998 წლის 31 მარტი (არაუგვიანეს): გაუქმდეს შემოწმება საზღვრებზე იტალიასა და ავსტრიაში.

2. შენგენის ზონა

თავისუფლად გადაადგილების უფლება აქვს ყველას, განურჩევლად ეროვნებისა.

- ევროკავშირის მოქალაქეებისთვის ეს პრინციპი უკვე ამოქმედდა შენგენის შეთანხმებით მოცულ მთელს სივრცეში.
- შეთანხმებაში შედის წესები არაწევრი ქვეყნების ტურისტებისთვის, თავშესაფრის მაძიებლებისა და ლეგალური იმიგრანტებისთვის: ამ წესების უმთავრესი მიზანია მთელ შენგენის ზონაში გასატარებელი პროცედურების სტანდარტიზება.

კანონი, წესრიგი და უსაფრთხოება

- ეროვნული პოლიცია გააგრძელებს საქმიანობას თავის ტერიტორიებზე, პორტებსა და აეროპორტებში, მაგრამ დამკვიდრდება სხვაგვარი მიდგომა. უფრო მჭიდრო თანამშრომლობა უფრო ეფექტიანს გახდის შემოწმებას გარე საზღვრებზე.
- არსებობს საერთო წესები ტერორიზმთან, კონტრაბანდასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად. შეთანხმება შეიცავს დებულებას, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას სასამართლოებს, პოლიციასა და სამთავრობო დეპარტამენტებს შორის.
- ამსტერდამის ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ ვიზები, თავშესაფრის მაძიებლობა, იმიგრაცია და ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის სხვა საკითხები უნდა გადავიდეს ევროკავშირის სისტემაში. ევროკავშირის საბჭო დაიკავებს შენგენის აღმასრულებელი კომიტეტის ადგილს, ევროკომისია შეძლებს სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, მართლმსაჯულების სასამართლო კი ამ სფეროებში კომპეტენტური ხელისუფლება იქნება.

რაც შეეხება დანიას, ირლანდიას და გაერთიანებულ სამეფოს, იქ სპეციალური წესები იმოქმედებს.

ერთიანი პოლიტიკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომის ხელშეკრულების საფუძველზე ევროპის თანამეგობრობას დაეკისრა ეკონომიკურ ურთიერთობათა ჰარმონიული განვითარება, მუდმივი და გაწონასწორებული გაფართოება, მზარდი სტაბილურობა, ცხოვრების დონის სწრაფი გაუმჯობესება და წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაღრმავება, რისი მიღწევაც შესაძლებელია „საერთო ბაზრის შექმნისა და წევრი ქვეყნების ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში".



ერთიანობა

ევროკავშირის მთავარი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყო ადამიანთა, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისთვის პირობების შექმნით და თავისუფალი კონკურენციისთვის ხელის შეწყობით. სწორედ თავისუფალი კონკურენცია განსაზღვრავს ფირმების მოღვაწეობას და იცავს მომხმარებლის ინტერესებს. თუმცა იმისათვის, რომ ამ ვრცელ ბაზარს სარგებლობა მოეტანა ეკონომიკის ყველა სექტორისათვის და თანამეგობრობის ყველა რეგიონისათვის, პარალელურად უნდა შემუშავებულიყო ეფექტიანი სტრუქტურული პოლიტიკა, რომელიც თანამეგობრობის მიერ წარიმართებოდა და დაფინანსდებოდა. ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ წევრი სახელმწიფოების ერთობის აუცილებელი პირობაა ეკონომიკური და სოციალური ურთიერთკავშირების გაძლიერება. სწორედ ამიტომ, თანამეგობრობაში ახალი წევრების შესვლასთან ერთად, სულ უფრო მატულობს რეგიონული და სოციალური პოლიტიკის მნიშვნელობა.

რეგიონული პოლიტიკა

ერთიანი ევროპული აქტის მიღების შემდეგ ეკონომიკური და სოციალური კავშირების გაძლიერებამ საზღვრებისაგან ფაქტიურად თავისუფალი სივრცის წარმოქმნა განაპირობა.

1988 წელს წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებით გაორმაგდა სტრუქტურული პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული ხარჯები. 1989-1993 წლებისათვის ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების პროგრამებზე, სტაგნაციის მდგომარეობაში მყოფი ინდუსტრიული რაიონების აქტივიზაციაზე, უმუშევართა დახმარებაზე, ახალგაზრდების დასაქმებაზე, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციასა და დატაკი სასოფლო-სამეურნეო რეგიონების დახმარებაზე წელიწადში 14 მილიარდი ეკიუ გამოიყო. თანხების განაწილება წარმოებდა ადრე არსებული, მაგრამ რადიკალურად რეფორმირებული ფონდების მეშვეობით. ეს ფონდებია ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი (ERDF), ევროპის სოციალური ფონდი (ESF), ევროპის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის და საგარანტიო

ფონდი (EAGGF) და თევზის რეწვის ხელმძღვანელობის ფინანსური საშუალება (FIFG). აღნიშნული თანხები გათვალისწინებულია მთავრობათა, რეგიონთა და კერძო ინვესტორთა დასახმარებლად. 1993-1999 წლებში სტრუქტურული ღონისძიებებისთვის სტრუქტურული და ურთიერთდაახლოების ხელშეწყობი ფონდების (Structural and Cohesion Funds) სახით გამოყოფილი იყო 200 მილიარდი ეკიუ. ამგვარად, ევროპული ფონდები გადაიქცა ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების მთავარ ინსტრუმენტად, რაც თანამეგობრობის შიგნით ერთიანობის გამოხატულებად შეიძლება ჩითვალოს.

სოციალური პოლიტიკა

აქტიურმა სოციალურმა პოლიტიკამ თვალნათლივ წარმოაჩინა არსებულ შეუსაბამობათა გამოსწორების აუცილებლობა. ევროპის სოციალური ფონდი (ESF) დაარსდა 1961 წელს. მისი ძირითადი ამოცანა იყო ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის პროფესიული და გეოგრაფიული მობილურობის დონის ამაღლება მრეწველობის იმ დარგებში, რომელთაც არ მოიცავდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება. სწორედ ამ გაერთიანებამ უზრუნველყო ათასობით ადამიანის დასაქმება, როდესაც 1961 წელს მაღაროების მასიურმა დახურვამ უამრავი მეშახტის უმუშევრად დარჩენა განაპირობა.

მაგრამ თანამეგობრობამ უბრალოდ ფინანსურ დახმარებაზე გაცილებით მეტი გააკეთა. ეკონომიკური განვითარების დონის დაცემით გამოწვეული პრობლემების გადასაწყვეტად მხოლოდ ეს არ იქნებოდა საკმარისი. ეკონომიკური ალმავლობით გამოწვეული დინამიზმი, როგორც ცალკეულ სახელმწიფოებში, ისე მთლიანად თანამეგობრობაში, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პროგრესისთვის უნდა იქნეს გამოყენებული; სოციალური პროგრესი კი გამომდინარეობს იმ კანონმდებლობიდან, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის უფლებებს თანამეგობრობის მასშტაბით, და ეყრდნობა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პრინციპებს, როგორიც არის, მაგალითად, თანაბარი ანაზღაურება ერთი და იგივე სამუშაოს შესრულებისათვის, უკანასკნელი დირექტივები ჯანდაცვისა და უშიშროების სფეროში, უსაფრთხოების ძირითადი სტანდარტების საყოველთაო აღიარება.

1991 წლის დეკემბერში თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა (გაერთიანებული სამეფოს გამოკლებით) მასტრიხტში მიიღეს პროგრამა სოციალური პოლიტიკის წარმართვის შესახებ, რომელიც გამომდინარეობდა „თანამეგობრობის წესდებიდან მშრომელთა უმთავრესი სოციალური უფლებების შესახებ". აღნიშნული შეთანხმება თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მშრომელთათვის საკმაოდ სასიკეთო აღმოჩნდა და ითვალისწინებდა გადაადგილების თავისუფლებას (თანამეგობრობის საზღვრებში), სამართლიან ანაზღაურებას, გაუმჯობესებულ სამუშაო პირობებს, სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, გაერთიანებათა თავისუფლებას, კოლექტიურ ვაჭრობას, პროფესიულ მომზადებას, შრომის თანაბარ პირობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის, ინფორმაციას, სამრეწველო დემოკრატიულობას, ჯანმრთელობის დაცვას, სამუშაო ადგილების უსაფრთხოებას, ბავშვთა, ასაკოვანთა და უმწეოთა დაცვას. გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებაში ლეიბორისტული პარტიის მოსვლამ ამ საკითხისადმი დამოკიდებულების შეცვლა გამოიწვია. 1997 წლის ივნისში ამსტერდამში მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული პროგრამა შეტანილი ყოფილიყო თანამეგობრობის ძირითადი ხელშეკრულების შემადგენლობაში და მას თხუთმეტივე წევრი სახელმწიფო გასცნობოდა.

დასაქმებასთან დაკავშირებული პოლიტიკა

მაშინ, როდესაც აშკარა გახდა პროგრესი ეკონომიკური და სავალუტო კავშირისკენ მიმავალ გზაზე, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში წინა პლანზე წამოიწია დასაქმებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. ევროპელთათვის ერთობ საეჭვო შეიქმნა ევროპული ინტეგრაციის იდეის ნაყოფიერებისა და მომავლის საკითხი. რა უპირატესობებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც წევრ სახელმწიფოებში უმუშევართა საერთო რაოდენობამ 1997 წელს 17.9 მილიონი შეადგინა? ამსტერდამის ხელშეკრულებაში შევიდა ახალი თავი, რომელიც სწორედ მოსახლეობის დასაქმებას ითვალისწინებდა. ამ თავის თანახმად, ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება დასაქმებას. 1997 წლის 20-21 ნოემბერს ევროპული საბჭოს ლუქსემბურგის სხდომაზე განისაზღვრა ერთიანი სტრატეგია, რომელიც მიმართულია წევრ სახელ-

მწიფოთა პოლიტიკის გააქტიურებაზე. განსაკუთრებით ეს ეხება პროფესიულ მომზადებას, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას და სოციალური დიალოგის განვითარებას. წევრი სახელმწიფოებისა და თანამეგობრობის ინსტიტუტებისათვის დაისახა ძირითადი მიმართულებები დასაქმებაში, რომლებსაც მათ განუხრელად უნდა მისდიონ მიღწეული შედეგების შეფასების საერთო პროცედურაზე დაყრდნობით.

ერთიანი პოლიტიკის დაფინანსება

ევროპული საბჭოს ედინბურგის სხდომაზე, 1992 წლის 12 დეკემბერს, მიღებული იქნა 1993–1999 წლების ფინანსური გეგმა, რომლის თანახმად თანამეგობრობის ბიუჯეტი გაიზარდა 69 მილიარდი ეკიუდან (1993) 84 მილიარდ ეკიუმდე (1999). ამავე დროს უმნიშვნელოდ გაიზარდა საკუთარი სახსრების ზედა ზღვარი: ევროკავშირის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 1,2%-დან 1,27%-მდე.

დამატებითი დაფინანსება სამ ძირითად მიმართულებას ხმარდება: საგარეო პოლიტიკის გააქტიურებას თანამეგობრობის მიერ მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ფუნქციების შეძენასთან დაკავშირებით; ეკონომიკური და სოციალური კავშირების გაძლიერებას, რაც ერთიანი ბაზრისა და ეკონომიკური და საავალუტო კავშირის აუცილებელი პირობაა; და ევროპული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

მასტრიხტში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა პრაქტიკული ასახვა ჰპოვა ევროკომისიის წამოწყებებში, რაც მდგომარეობს საბერძნეთის, ირლანდიის, პორტუგალიის და ესპანეთის დასახმარებლად ურთიერთდაახლოების ხელშემწყობი ფონდის დაარსებაში, კონკურენციის მასტიმულირებელი სპეციალური ზომების მიღებაში, სამრეწველო პოლიტიკის შემოღებაში, სამეცნიერო კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების პროგრამის შემუშავებაში, პროფესიული მომზადების ხელშეწყობასა და ინფრასტრუქტურის ქსელის განვითარებაში.

ევროკავშირის მიერ განხორციელებული ცვლილებები ორ ძირითად პრინციპს ემყარება: ეს არის დახმარების გაწევა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ იმყოფებიან თანამეგობრობის იურისდიქციის სფეროში, და სადაც ეს დახმარება მაქსიმალური შედეგის მომტანია, და ერთიანობა, რაც გამოიხატება თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სოციალური კავშირების გაღრმავებაში.

ძნელი იქნება ამ ორი პრინციპის შეთავსება და რეგიონებს შორის არსებული უთანასწორობის შემცირება, რაც დამატებით ხარჯებს მოითხოვს, თუ გავითვალისწინებთ მკაცრ საბიუჯეტო დისციპლინას და წევრ სახელმწიფოთა მიმართ მიღებულ შეზღუდვებს იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური და საავალუტო კავშირი დადებით შედეგს გამოიღებს.

1997 წლის ივნისში ევროკომისიამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „პროგრამა 2000 წლისათვის". ამ დოკუმენტში განხილულია ის პრობლემები, რომლებიც დღის წესრიგში დადგება 1999 წლის 31 დეკემბერს, არსებული ფინანსური გეგმის ვადის გასვლის შემდეგ, და მოიცავს პერიოდს 2000-დან 2006 წლამდე. ამ პრობლემათაგან მთავარია ევროკავშირში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების გაერთიანების პერსპექტივა, სახელმწიფო დანახარჯების შეზღუდვის აუცილებლობა და ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს შეშფოთება, დაკავშირებული ევროკავშირის ბიუჯეტში ფინანსური შესატანების ზრდასთან. ამის გამო ევროკომისიამ წამოაყენა წინადადება 2000–2006 წლების ბიუჯეტში status quo-ს შენარჩუნების შესახებ, რაც გამორიცხავს ფინანსური სახსრების ზრდას ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 1,27%-იანი ზედა ზღვრის ზემოთ, მაგრამ თან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასიცოცხლო მნიშვნელობის სახსრების შემოსვლა, რაც წევრ სახელმწიფოთა შორის (ისევე, როგორც ევროკავშირს და მომავალ წევრებს შორის) ერთობის გარანტია იქნება.

რაც შეეხება სტრუქტურულ ფონდებს, 15 წევრი სახელმწიფოსთვის განკუთვნილი ბიუჯეტი 210 მილიარდი ეკიუა, რასაც ემატება 20 მილიარდი ეკიუ ურთიერთდაახლოების ხელშემწყობი ფონდების სახით. დაფინანსების რაციონალიზაციისა და მისი შედეგიანობის გაზრდის მიზნით ევროკომისია სამ ძირითად ამოცანას სახავს:

- პირველი ამოცანაა იმ რეგიონების განვითარების ხელშეწყობა, რომელთა ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე ნაკლებია თანამეგობრობის საშუალო ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 75%-ზე; ამ ამოცანის განხორციელებისთვის გამოიყოფა გრანტი, რომელიც მთელი კრედიტების ორი მესამედი იქნება;

- მეორე ამოცანაა დახმარების გაწევა იმ რეგიონებისთვის (მიუხედავად სტრუქტურული ხასიათის პრობლემებისა), რომლებიც ეკონომიკურ ცვლილებებს განიცდიან, დაკნინებული სოფლის რაიონებისთვის, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი თევზჭერაზე დამოკიდებული რაიონებისა თუ ქალაქებისთვის, რომლებიც გარკვეულ სიძნელეებს განიცდიან;

- მესამე ამოცანაა ადამიანთა რესურსების განვითარებაზე ყურადღების გამახვილება და უმუშევრობასთან ბრძოლა (ხელშეკრულებაში დასაქმების შესახებ შეტანილი ახალი ქვეთავის შესაბამისად).

გარდა ამისა, „პროგრამაში 2000 წლისთვის" დასახულია ღონისძიებები გაწევრიანებამდე გასატარებელი სტრატეგიის გასაძლიერებლად, აგრეთვე რეგიონული კავშირების დამყარების მცდელობა, რომელიც ეხება ევროკავშირის ახალ წევრებს (იხ. მე-8 თავი).

საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმა

1992 წლის ივნისში საბჭომ შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმა, რომელიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების შემცირებასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაზე. მიზნები, რომლებიც დასახული იყო ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 33-ე (ყოფილ 39-ე) მუხლში და ეხებოდა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას, ძირითადად, განხორციელდა. ეს არის სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო ბაზრის სტაბილიზება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შეღავათიანი ფასების შემოღება, სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურების მოდერნიზება. ერთიანმა ბაზარმა, თანამეგობრობის მიერ გაწეულმა სხვადასხვა (ფინანსური და სხვა) სახის დახმარებებმა ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას. დღეს მომხმარებელი უზრუნველყოფილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მისაღებ ფასებში და დაცულია მსოფლიო ბაზარზე ფასების შესაძლო ცვალებადობისგან. სოფლის მეურნეობის მოდერნიზებამ და მოსახლეობის გადაადგილებამ სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან მეურნეობის სხვა დარგებში გამოიწვია ევროკავშირის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის შემცირება 20%-დან 8%-მდე და ხელი შეუწყო კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიის ჩამოყალიბებას.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა საკუთარი წარმატებულობის მსხვერპლი გახდა. საჭიროა ახლებური მიდგომა, რათა შემცირდეს იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რომელიც აღემატება მოხმარებას. 1973–1988 წლებში წარმოებული პროდუქციის ზრდის ტემპი შეადგენს 2%-ს, მაშინ, როდესაც მოხმარება მხოლოდ 0,5%-ით გაიზარდა. ამგვარი ჭარბწარმოება უარყოფითად მოქმედებს თანამეგობრობის მდგომარეობაზე და აფერხებს სხვა დარგების განვითარებას. რეფორმის მთავარი მიზანია, აღმოიფხვრას კავშირი სუბსიდიებს და წარმოებული პროდუქციის რაოდენობას შორის, მეტი ყურადღება დაეთმოს პროდუქციის ხარისხს, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი დღევანდელობის მზარდ მოთხოვნილებასთან. ამასთან ერთად, უნდა შეიზღუდოს

წარმოების მოცულობები და ინტენსივობა, რადგან ეს უარყოფით ზეგავლენას ახდენს გარემოზე.

2000 წლის მოახლოებასთან ერთად აღნიშნული ზომები თანდათან ხორციელდება. აუცილებელია გარდაქმნათა პროცესის გაგრძელება, რათა ევროპის სოფლის მეურნეობამ თავი გაართვას ფინანსურ ვალდებულებებს: კერძოდ, ევროკავშირში ახალი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების (სადაც სოფლის მეურნეობა კვლავაც წამყვან დარგად რჩება) გაწევრიანება ფართო ასპარეზს იძლევა 2000 წლის 1 იანვრის მრავალმხრივი მოლაპარაკებებისათვის და თანამეგობრობის ახალი ფინანსური სტრუქტურის შემუშავებისათვის. ევროკომისია თავის „პროგრამაში 2000 წლისათვის" თანამეგობრობის სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროგრამის ძირითად მიმართულებად 1992 წლის რეფორმების გაღრმავებას სახავს, რაც საფერმერო პროდუქციის (ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ხორცი, რძე) ფასების შემდგომ შემცირებაში გამოიხატება. ამასთან, მწარმოებლებს დანაკარგების კომპენსაციისთვის ფულადი ანაზღაურება მიეცემათ.

პროგრესის მისაღწევად დასახული პოლიტიკა

თანამეგობრობა თანდათანობით იერთებს ახალ ტერიტორიებს, ავითარებს პოლიტიკას საერთო ბაზრის შესანარჩუნებლად და დასაცავად.

თანამეგობრობის პოლიტიკა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებს, როგორიც არის გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, მომხმარებლის უფლებები, კონკურენცია და უსაფრთხოება ტრანსპორტის ინდუსტრიაში, განათლება და კულტურა, და მიმართულია ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე. ეს შემდეგ კითხვას ბადებს: მართებულია თუ არა თანამეგობრობის გავლენის სფეროს გაფართოება? მართლაც, არის თუ არა ეს კანონიერი? თანამეგობრობაში შემავალ თითოეულ ქვეყანას ხომ საკუთარი დემოკრატიული სისტემა აქვს, რომელიც უზრუნველყოფს მისი მოქალაქეების მოთხოვნილებებისა და უფლებების აღსრულებას.

პასუხი ამ კითხვებზე მარტივია. სხვა გამოსავალი არ არის. ზოგიერთი პრობლემის მასშტაბურობა გვიჩვენებს, რომ ის საერთოა ყველასათვის და მისი გადაჭრისათვის ერთობლივი მოქმედებაა საჭირო. ხშირ შემთხვევაში მხოლოდ თანამეგობრობას შეუძლია უზრუნველყოს საჭირო დაფინანსება. ზოგჯერ ევროკავშირის ქმედება მაგალითის მიმცემი ხდება სხვისთვის, გზას უხსნის პროგრესს და ხელს უწყობს ზოგიერთი ისეთი პოტენციალის ამოქმედებას, რომელიც აქამდე არ იყო სათანადოდ გამოყენებული.

ე.წ. საქონლის ცოფით (BSE) გამოწვეულმა კრიზისმა აიძულა ევროკომისია, შემოეღო ემბარგო ხორცის პროდუქციის მრავალ სახეობაზე. სპეციალური დროებითი კომისიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით 1997 წლის 8 ნოემბერს ევროპარლამენტმა დახმარება გაუწია კომისიას თანამეგობრობის ჯანდაცვითი სტრუქტურების მოქმედების კოორდინირებაში და სხვა ღონისძიებებში.

ადამიანებზე ზრუნვის აუცილებლობიდან გამომდინარე ამსტერდამში კიდევ უფრო დიდი ყურადღება დაეთმო ხელშეკრულების იმ თავებს, რომლებიც საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და მომხმარებლის ინტერესების დაცვას ეხება.

განსაკუთრებული ერთსულოვნება საზოგადოებრიობასა და თანამეგობრობის ინსტიტუტებს შორის გარემოს დაცვის საკითხებში შეინიშნება. ადამიანთა მოთხოვნამ დედამიწის რესურსების გაფრთხილების, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვის შესახებ უბიძგა ევროკავშირის შესაბამის სამსახურებს, სპეციფიური მიმართულებით ემოქმედათ: დაწესდა უფრო მკაცრი კონტროლი ჰაერის დაბინძურებაზე, შეიზღუდა წარმოება ქლოროფლუოროკარბონებისა, რომლებიც ატმოსფეროს ოზონის შრეს აზიანებენ, კონტროლდება ქიმიური მრეწველობა, ურბანიზებული ტერიტორიების კანალიზაცია, ნარჩენების და ნაგვის გადამუშავება, ტრანსპორტის ხმაურის დონე და ა.შ.

გარემოს დაცვა მხოლოდ სტანდარტების და კანონების გამკაცრებით არ შემოიფარგლება. ევროკავშირი აფინანსებს, აგრეთვე, სპეციალურ პროექტებს და უზრუნველყოფს თანამეგობრობის კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობაში მოყვანას.

ევროკავშირი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ევროპის მომავალი დამოკიდებულია მის უნარზე, სწორად წარმართოს ტექნოლოგიური პროცესები. მისთვის თავიდანვე ნათელი იყო ერთიანი კვლევის მნიშვნელობა და მისი პოტენციური შესაძლებლობები ევროპის მომავლის უზრუნველყოფის საქმეში. ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან ერთად, 1958 წელს, ატომური ენერგიის მშვიდობიანი

გამოყენების საქმეში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეიქმნა ორგანიზაცია „ევროპის თანამშრომლობა ატომური ენერგიის დარგში." ამ ორგანიზაციას აქვს საკუთარი ერთობლივი კვლევის ცენტრი, რომლის შემადგენლობაში შედის 7 ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტები ევროპის 5 ქვეყანაშია განლაგებული: ისპანეთში (იტალია), კარლსრუეში (გერმანია), პეტენში (ჰოლანდია), სევილიაში (ესპანეთი) და გელში (ბელგია). მიუხედავად იმისა, რომ იზრდება საერთაშორისო ცვლილებათა მიმდინარეობის ტემპი, თანამეგობრობა იძულებულია, გაკეთოს კიდევ უფრო მეტი, კვლევითი პროექტების განსახორციელებლად მოიზიდოს მეცნიერთა მაქსიმალური რაოდენობა, მოიხმაროს მათი მუშაობის შედეგები ინდუსტრიული პრობლემების გადასაწყვეტად და დაძლიოს ადმინისტრაციული და ფინანსური სირთულეები.

ევროკავშირის ქმედება ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებში წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას, მისი ეგიდით მიმდინარეობს გამოკვლევები ფუნდამენტური მეცნიერების ისეთ დარგში, როგორიც არის მართვადი თერმობირთვული რეაქცია - XXI საუკუნის ენერგიის უშრეტი წყარო (პროგრამა "JET"), და სტრატეგიული ინდუსტრიის ისეთ დარგებში, როგორიც არის ელექტრონიკა და კომპიუტერები.

1999–2000 წლებისთვის ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში (ბიუჯეტი – 16,3 მილიარდი ეკიუ) თანამეგობრობა დააფინანსებს ფართო და მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც გააერთიანებს ათასობით მკვლევარს ყველა წევრი სახელმწიფოდან.

ევროპის ძირითადი სატრანსპორტო ქსელი

1994 წლის 25 ივნისს ევროკომისიის მიერ „თეთრ წიგნში" წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს განვითარების, კონკურენციისა და დასაქმების საკითხებს, ევროპულმა საბჭომ მიიღო 11 ძირითადი პროექტი. მათში განხილულია ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები - კერძოდ, ისეთი ჩქარონული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ევროპის მთავარ ქალაქებს. ამ პროექტების განხორციელება დაკავშირებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან. გარდა ამისა, გათვალისწინებულია კიდევ სხვა პროექტების შემუშავება, რომელთა ხორცშესხმას, გარდა მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაწყვეტისა, შედეგად მოჰყვება ეკონომიკური აღმავლობა, ენერგეტიკული და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ასე ესაჭიროება ევროპის კონტინენტს. ამ პროექტების განსახორციელებლად ევროკავშირის ბიუჯეტში 1997 წელს 0,5 მილიარდი ეკიუ იყო გამოყოფილი.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი საერთო ბაზრის ლოგიკური შემადგენელი ნაწილი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მომენტია. ევროპის ქვეყნების სახელმწიფოებრიობის სიმბოლო და სუვერენიტეტის ინსტრუმენტი მრავალი საუკუნის განმავლობაში – ეროვნული ფულადი ერთეულები – შეცვალა ერთიანმა ვალუტამ. რომის იმპერიის შემდეგ ევროპის ისტორიაში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. არ არსებობს ამგვარი რამ არც მსოფლიოს სხვა რეგიონში. ერთიანი ევროპული ვალუტა ბრუნვაში 1999 წლის 1 იანვრიდან შემოვა და 2002 წლის 1 იანვრისთვის მთლიანად შეცვლის ეროვნულ ფულად ერთეულებს. ეს ხელს შეუწყობს ევროპელთა ცნობიერებაში ახალი პოლიტიკური რეალობის უკეთ გააზრებას.

ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღება მეტად ხანგრძლივი და ეტაპობრივი განვითარების პროცესის შედეგია. 1970 წელს ვერნერის ანგარიშში მოცემული იყო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ეტაპობრივი (3 ეტაპი) შექმნის გეგმა, რომელიც დროის 10 წლიან პერიოდს მოიცავდა. მაშინ პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა მსოფლიოს ნავთობის მრეწველობაში პირველად შექმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ.

მიუხედავად ამისა, 1972 წელს შემოღებული იქნა ვალუტის გაცვლის კურსის ევროპული სისტემა, რომელსაც "snake" უწოდეს. 1974 წელს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ეროვნული ეკონომიკური სისტემების ურთიერთდაახლოების შემდგომი გაღრმავება და სტაბილურობის, ეკონომიკური აღმავლობისა და დასაქმების პროცესების გააქტიურება. თუმცა მზარდმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ თანდათანობით შეარყია სისტემის საძირკველი.

ამის შედეგად ფრანგული ფრანკი, გირვანქა სტერლინგი და იტალიური ლირა სავალუტო "snake"-ის მიღმა აღმოჩნდნენ.

ევროპის მონეტარული სისტემა

1978 წლის 6-7 ივლისს ბრემენში შემდგარ ევროპული საბჭოს სხდომაზე ევროპის სახელმწიფოთა და მთავრობათა ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ევროპის მონეტარული სისტემის შექმნის თაობაზე. სისტემა ამოქმედდა 1979 წლის 13 მარტს.

ევროპის მონეტარული სისტემის დაარსებას მოჰყვა ევროპაში ფულადი სტაბილურობის ისეთი ზონის შექმნა, რომელიც ეკონომიკურ განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას უზრუნველყოფდა.

ევროპის მონეტარული სისტემა სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

- ეკიუ - საკვანძო ელემენტი ფულად სისტემაში, სხვანაირად, თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა ვალუტებისგან შედგარი კალათა;
- ვალუტის გაცვლითი კურსი და ინტერვენციის მექანიზმი.

თითოეულ ვალუტას აქვს ცენტრალური გაცვლითი კურსი, რომელიც ეკიუსთან არის დაკავშირებული. ის გამოიყენება ორი სხვადასხვა ვალუტის ერთიმეორის მიმართ კურსის განსაზღვრად. 1993 წლის აგვისტომდე ორმხრივი გაცვლითი კურსის დასაშვები ცვალებადობა ცენტრალური კურსის მიმართ 2,25%-ს შეადგენდა. განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 6%-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ ვითარება შეიცვალა – აღნიშნულმა მაჩვენებელმა 15%-ს მიაღწია და სავალუტო ბაზარზე მნიშვნელოვანი აურზაური გამოიწვია.

- საკრედიტო მექანიზმები.

იმ შემთხვევაში, თუ ორმხრივი გაცვლითი კურსი 15%-იან ზღვარს მიუახლოვდება, ცენტრალურ ბანკებს აქვთ შეუზღუდავი ინტერვენციის უფლება, რათა ეს ზღვარი არ იქნეს დარღვეული.

ევროპის მონეტარულმა სისტემამ წარმატებას მიაღწია მზარდი ფულადი სტაბილურობის ზონის შექმნაში. თუმცა მისი პოტენციალი ბოლომდე რეალიზებული არ არის. ზოგიერთი ვალუტა არ შესულა ერთიანი სავალუტო კურსის სისტემაში, ზოგის ცვალებადობის მაჩვენებლები კი აღემატება დასაშვებს. ეროვნულ საბიუჯეტო პოლიტიკათა შეუთანხმებლობამ შექმნა გარკვეული დაძაბულობა, ხოლო ზოგი ვალუტის დევალვაციამ სხვა ვალუტებთან შედარებით საფრთხე შეუქმნა საერთო ბაზრის ერთიანობას.

უკანასკნელი ეტაპი ევროპის სავალუტო კავშირის შექმნის გზაზე

საბაჟო გადასახადებთან დაკავშირებული დაბრკოლებების გასაუქმებლად, საქონლის, კაპიტალის, მომსახურებისა და ადამიანთა შეუზღუდავი გადაადგილების უზრუნველსაყოფად და საერთო ბაზრის შესაქმნელად აუცილებელია ერთიანი ვალუტის არსებობა.

ევროკომისიის პრეზიდენტის ჟაკ დელორის მიერ 1989 წლის ივნისში წარმოდგენილ ანგარიშში ზოგადი სახით მოცემული იყო მადრიდის ევროპული საბჭოს მიერ დასახული მიზნები: თანამეგობრობა ებმება რამდენიმე ეტაპისგან შემდგარ პროცესში, რომელიც იწყება 1990 წლის 1 ივლისს და გვირგვინდება ერთიანი ვალუტის შემოღებით. სავალუტო და ეკონომიკური პროგრესი გვერდიგვერდ უნდა წარიმართოს.

პირველ ეტაპზე წევრი სახელმწიფოები შეიმუშავებენ ურთიერთდაახლოების (კონვერგენციის) პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ქმედებათა შეთანხმებულობას და მათ ეფექტიანობას. ამით შესაძლებელი გახდება ფიქსირებული სავალუტო კურსის შემოღება.

მაასტრიხტის ხელშეკრულება

1992 წლის 7 თებერვალს მაასტრიხტში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ შეუქცევადი გახადა საერთო ევროპულ ვალუტაზე გადასვლის პროცესი. მიზნის მისაღწევად დაისახა სამი ეტაპი და ლონისძიებათა განხორციელების გრაფიკი.

მესამე ეტაპზე გადასასვლელი კრიტერიუმები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- ფასების სტაბილურობა: ინფლაციის კოეფიციენტმა 1,5%-ზე მეტად არ უნდა გადააჭარბოს ყველაზე დაბალი ინფლაციის მქონე სამი წევრი სახელმწიფოს ინფლაციის საშუალო კოეფიციენტს;
- საპროცენტო განაკვეთები: გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები 2%-ზე მეტად არ უნდა განსხვავდებოდეს ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სამი წევრი სახელმწიფოს საშუალო საპროცენტო განაკვეთისგან;
- დეფიციტები: ეროვნული ბიუჯეტების დეფიციტები უნდა უახლოვდებოდეს ან ნაკლები იყოს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 3%-ზე;
- ვალი: სახელმწიფოს ვალმა შეიძლება გადააჭარბოს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 60%-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ ვალის დონის შემცირების საერთო ტენდენცია;
- გაცვლითი კურსის სტაბილურობა: ეროვნული ვალუტა არ უნდა იყოს დევალვირებული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და არ უნდა გადასცილდეს ევროპის მონეტარული სისტემით დადგენილ ცვალებადობის 2.25%-იან ზღვარს.

ეკონომიკური და საავალუტო კავშირის II ეტაპი 1994 წლის 1 იანვარს დაიწყო. ეს არის გარდამავალი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ეკონომიკური კონვერგენციის მისაღწევად დასახული ქმედებები. წევრი სახელმწიფოების მონეტარული პოლიტიკის კოორდინირების, ეკიუს ხმარების ხელშეწყობისა და III ეტაპზე ევროპის ცენტრალური ბანკის დაარსებისთვის ნიადაგის მომზადების მიზნით ფრანკფურტში დაფუძნდა ევროპის საავალუტო ინსტიტუტი.

მადრიდის ევროპულმა საბჭომ 1995 წლის 15-16 დეკემბერს მომავალი ევროპული ფულადი ერთეული „ევროდ" მონათლა და შეიმუშავა მისი დაარსების ტექნიკური პროცედურა.

III ეტაპი 1999 წლის 1 იანვარს დაიწყება. 1998 წლის მაისში ევროკომისიისა და ევროპის საავალუტო ინსტიტუტის ანგარიშებზე დაყრდნობით წევრი სახელმწიფოების ფინანსთა მინისტრები გადაწყვეტენ, თუ რომელი წევრები აკმაყოფილებენ ერთიანი ვალუტის მისაღებად საჭირო პირობებს. ევროკომისიის აზრით, ეკონომიკის მდგომარეობის თვალსაზრისით 1999 წლის 1 იანვრისთვის ევროს შემოსაღებად დადგენილი პირობების დაკმაყოფილებას წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა მოახერხებს. ევროპის პარლამენტთან მოთათბირების შემდეგ საბჭოს შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურების სხდომაზე კვალიფიცირებული უმრავლესობით გადაწყდება, თუ რომელმა სახელმწიფოებმა შეასრულეს საერთო ვალუტის მისაღებად აუცილებელი პირობები.

III ეტაპის დასაწყისში დაფუძნდება ევროპის ცენტრალური ბანკი და ერთხელ და სამუდამოდ დაფიქსირდება გაცვლითი კურსები მონაწილე ქვეყნების ფულად ერთეულებს შორის. ბანკი არ იქნება დამოკიდებული ეროვნულ მთავრობებზე და განახორციელებს ერთიანი ვალუტის მიმღები ყველა წევრი სახელმწიფოს მონეტარული პოლიტიკის მართვას. საავალუტო კავშირს გარეთ დარჩენილი ქვეყნები კავშირს მაშინ შეუერთდებიან, როცა ამის საშუალებას მათი ეკონომიკის მდგომარეობა მისცემს, ან როცა ამის თაობაზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ევროს შემოღების განრიგი

1991 წლის 10 დეკემბერი

ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ.

— გადაწყდა ევროპის სავალუტო კავშირის შექმნა და მიღებული იქნა კონვერგენციის (ერთმანეთთან მიახლოების) ხუთი კრიტერიუმი.

1994 წლის 1 იანვარი

ევროპის სავალუტო კავშირის შექმნის მეორე ეტაპი (გარდამავალი პერიოდი).

— ფრანკფურტში დაარსდა ევროპის სავალუტო ინსტიტუტი.

— გაუმჯობესდა ევროპის ეკონომიკური პოლიტიკის საკოორდინაციო პროცედურები.

— ბრძოლა გამოეცხადა ჭარბ დეფიციტს და შემუშავებული იქნა პოლიტიკა წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური კონვერგენციისათვის.

— წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობა.

1995 წლის 16 დეკემბერი

ევროპული საბჭოს მადრიდის სხდომა.

— მიღებულია სახელწოდება „ევრო".

— დაწესებულია ევროს შემოღების ტექნიკური პროცედურა და ერთიან ვალუტაზე გადასასვლელი განრიგი.

1996 წლის 14 დეკემბერი

ევროპული საბჭოს დუბლინის სხდომა.

— მიღებულია პაქტი ბიუჯეტის სტაბილურობისა და ზრდის შესახებ.

— ევრომ კანონიერი სტატუსი შეიძინა.

1997 წლის 17 ივნისი

ევროპული საბჭოს ამსტერდამის სხდომა.

— დამტკიცებულია პაქტი სტაბილურობისა და ზრდის შესახებ.

— მიღებულია ინსტრუქციები ევროს კანონიერი სტატუსის შესახებ.

— მიღებულია გადაწყვეტილება „ევროპის მონეტარული სისტემის პირველი რაუნდის" შესახებ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ შედიან ერთიან სავალუტო ზონაში.

— შერჩეულია მონეტების დიზაინი.

1997 წლის 13 დეკემბერი

ევროპული საბჭოს ლუქსემბურგის სხდომა.

მიღებულია გადაწყვეტილება ევროპის სავალუტო კავშირის შექმნის მესამე ეტაპის განმავლობაში ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირების (მრავალმხრივი მეთვალყურეობის) და ხელშეკრულების 109-ე და 109(ბ)-ე მუხლების (გაცვლით კურსთან დაკავშირებული პოლიტიკა და თანამეგობრობის წარმომადგენლობა საერთაშორისო დონეზე) შესახებ.

1998 წლის 1 და 2 მაისი

ევროპული საბჭო ადგენს იმ ქვეყნების სიას, რომლებიც ღებულობენ კონვერგენციის კრიტერიუმებზე დამყარებულ ერთიან ვალუტას.

— საკითხი განსახილველად ევროპარლამენტისთვის არის წარდგენილი.

— დადგენილია გაცვლის ორმხრივი უცვლელი კურსები.

1998 წელი

დაარსებულია ევროპის ცენტრალური ბანკი; დანიშნულია აღმასრულებელი კომიტეტი და დაწყებულია მონეტებისა და ბანკნოტების წარმოება.

1999 წლის 1 იანვარი

ევროპის საერთაშორისო კავშირის შექმნის მესამე ეტაპი.

— ევრო დამოუკიდებელი ვალუტა ხდება.

— ბანკები და ბიზნესი ევროზე გადადიან.

2002 წლის 1 იანვარი

ევროს შემოღება.
იწყება მონეტებისა და ბანკნოტების ბრუნვა.

არაუგვიანეს 2002 წლის 1 ივლისისა

უქმდება სხვადასხვა ქვეყნის მონეტები და ბანკნოტები, როგორც კანონიერი ვალუტა.

ერთიანი ვალუტა, ევრო, ადმინისტრაციებისა და ბანკებისათვის შემოღებული უნდა იქნეს 1999 წლის 1 იანვარს. არაუგვიანეს 2002 წლის 1 იანვრისა ევროს მონეტები და ბანკნოტები ბრუნვაში უნდა შევიდეს. მონეტების დიზაინზე შეთანხმდნენ ევროპული საბჭოს ამსტერდამის სხდომაზე. ტექნიკური განხილვისას გათვალისწინებული იქნა დაინტერესებულ მხარეთა და მომხმარებელთა მოსაზრებები მონეტების ფორმასთან და დიზაინთან დაკავშირებით.

2002 წლის 1 ივლისს ევრო შეცვლის ეროვნულ ვალუტას იმ წევრ სახელმწიფოებში, რომლებიც ერთიან სავალუტო ზონაში შედიან. ამ ორ ზემოხსენებულ თარიღს შორის ფასების მაჩვენებლებზე აღნიშნული იქნება ევროც და ეროვნული ვალუტაც, რაც დაეხმარება ევროპელ მომხმარებელს, თანდათანობით შეეჩვიოს ახალ ვალუტას.

ხელშეკრულების ოქმების თანახმად, გაერთიანებული სამეფო და დანია იტოვებენ უფლებას, არ მიიღონ მონაწილეობა III ეტაპში, თუნდაც აკმაყოფილებდნენ ეკონომიკური დონისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. რეფერენდუმის შემდეგ დანიამ განაცხადა, რომ არ აპირებს მონაწილეობის მიღებას. თავი შეიკავა შვეციამაც.

მაასტრიხტის ხელშეკრულების დებულებათა შეკვსების მიზნით 1997 წლის 17 ივნისს ამსტერდამის ევროპულმა საბჭომ მიიღო ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება:

— პირველი გადაწყვეტილება ცნობილია, როგორც „პაქტი სტაბილურობისა და ზრდის შესახებ". ეს პაქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, არ გამოვიდნენ ბიუჯეტის ფარგლებიდან. ამის გარანტირება შესაძლებელი იქნება მრავალმხრივი მეთვალყურეობისა და ჭარბი დეფიციტის აკრძალვის საშუალებით.

— მეორე გადაწყვეტილებაში მითითებულია, თუ რამდენად თანმიმდევრულად უნდა მისდიონ წევრმა სახელმწიფოებმა და ევროკომისიამ მოსახლეობის უზრუნველყოფას სამუშაო ადგილებით, რაც ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ მიმართულებას წარმოადგენს.

1997 წლის 13 დეკემბერს ევროპული საბჭოს ლუქსემბურგის სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც შეეხება ევროპის ერთიანი სავალუტო ზონის შექმნის III ეტაპის განმავლობაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირებას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული: „იმ წევრ სახელმწიფოთა მინისტრებს, რომლებიც ევროპის ერთიან სავალუტო ზონაში შედიან, შეუძლიათ არაოფიციალურად შეხვდნენ ერთმანეთს, რათა განიხილონ საერთო ვალუტის არსებობით განპირობებული თავიანთი განსაკუთრებული პასუხისმგებლობებიდან წამოჭრილი საკითხები." ამით თხუთმეტი წევრი სახელმწიფოს მთავრობათა თუ სახელმწიფოს მეთაურებმა გზა მისცეს ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების პროცესს, რამაც, შესაძლოა, უფრო მეტად დაახლოვოს ის ქვეყნები, რომლებიც თავიანთ ეკონომიკურ, საბიუჯეტო, სოციალურ და საგადასახადო პოლიტიკაში ევროს შემოიღებენ.

საუკუნის დასასრულისთვის საერთო ვალუტის შემოღება ევროკავშირის ჯერ კიდევ ყველაზე პატივმოყვრული მიზანია. ამ გზაზე აუცილებლად იქნება გარკვეული დაბრკოლებები, რომლებიც წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ნების გამოცდა გახდება. ევროს წარმატებას განაპირობებს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორიც — საზოგადოების დამოკიდებულება ახლად შემოღებული ვალუტისადმი, რომელიც უშუალო ზემოქმედებას მოახდენს ყოველი მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

პოლიტიკური კავშირი და თავდაცვა

ევროპული ინტეგრაციის პროცესისთვის უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება მშვიდობას და ურთიერთშერიგებას. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ევროპას არაერთგზის უცდია, თავს მოეხვია დანარჩენი მსოფლიოსთვის თავისი შეხედულებები ნაცვლად იმისა, რომ ეჩვენებინა მაგალითი, თუ როგორ შეიძლება პრობლემების გადაჭრა მოლაპარაკების გზით. თუმცა ევროკავშირს, ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროში მისი ავტორიტეტის ზრდასთან ერთად, სულ უფრო ხშირად უხდება მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებში შუამავლისა და გამაწონასწორებელი ძალის ფუნქციის შესრულება.

როცა 1954 წელს ჩაიშალა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის გეგმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და იტალიამ მიიღეს წინადადება, გაერთიანებულიყვნენ დასავლეთ ევროპის კავშირში, რომელიც 1948 წელს კოლექტიური თავდაცვის მიზნით დაარსეს ბელგიამ, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და გაერთიანებულმა სამეფომ. თუმცა საკუთარ უსაფრთხოებას დასავლეთ ევროპა 40 წლიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ნატო-ს საშუალებით, აშშ-სა და კანადასთან მჭიდრო ალიანსში, ახორციელებდა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1986 წელს ხელმოწერილი იქნა ერთიანი ევროპული აქტი, ოფიციალურად იქნა აღიარებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის (EPC) პრაქტიკა. ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა ესახებოდათ, ძირითადად, როგორც ფორუმი, რომელზეც მოხდებოდა ერთმანეთისთვის კონსულტაციის გაწევა და კოორდინირება მთავრობათაშორის დონეზე. და ამიტომ

ის ევროპული საბჭოსა და საგარეო საქმეთა მინისტრების პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნებოდა, ხოლო თანამეგობრობის ინსტიტუტები. მაგალითად, ევროკომისია და პარლამენტი. მასში მხოლოდ არაპირდაპირი სახით იყვნენ ჩართულნი.

მიუხედავად ამისა, ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებს ხშირად აძლევდა შესაძლებლობას, საერთო პოზიცია დაეკავებინათ საერთაშორისო ორგანიზაციებში, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; გარდა ამისა, ის სასარგებლო აღმოჩნდა საგარეო პოლიტიკისადმი თანმიმდევრული დამოკიდებულების უზრუნველყოფაში.

იმ გეოპოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, რომლებმაც 1989 წლიდან მოყოლებული შეძრა ევროპა (ვარშავის პაქტის დარღვევა, გერმანიის გაერთიანება და საბჭოთა კავშირის დაშლა), და რასაც მოჰყვა ნაციონალისტურ მოძრაობათა გამოცოცხლება, სამოქალაქო ომი იუგოსლავიაში და მისი დაშლა, წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგათ პოლიტიკური თანამშრომლობის გზაზე.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

ხელშეკრულებაში ევროკავშირის შესახებ ჩამოყალიბებულია ისეთი პოლიტიკური კავშირის საფუძველი, რომელიც დაემყარება საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. ხელშეკრულების თანახმად დასახულია შემდეგი მიზნები:

- ევროკავშირის საერთო ღირებულებათა, უმთავრეს ინტერესთა და დამოუკიდებლობის დაცვა;
- ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოთა უსაფრთხოების ყოველმხრივ გაძლიერება;
- მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განვითარება და განმტკიცება; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა.

ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია. ამისათვის ორი გზა არსებობს: ერთი გზაა „წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა პოლიტიკის გატარებისას“ და საერთო პოზიციების განსაზღვრა, ხოლო მეორე — „წევრ სახელმწიფოთა საერთო ინტერესების სფეროებში ამ ინტერესების ამსახველ ღონისძიებათა თანდათანობით განხორციელება“.

წევრ სახელმწიფოთა შორის სისტემატური თანამშრომლობა მოიცავს ერთმანეთისთვის ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში არსებულ ნებისმიერ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენს. საერთო პოზიციების მიღება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ამას საბჭო მიიჩნევს აუცილებლად, და ეს საერთაშორისო მასშტაბით დააკავშირებს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პოლიტიკას და მათ პოზიციას.

ევროპული საბჭო ინარჩუნებს უზენაეს უფლებას, კვლავ განსაზღვროს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები; მაგრამ არსებობს თხუთმეტივე წევრი სახელმწიფოს ერთობლივი მოქმედების მექანიზმი, რომელიც ყოველი წევრი სახელმწიფოს ნებას გამოხატავს.

საბჭოს შეუძლია კვალიფიცირებული უმრავლესობით შეიმუშაოს პროცედურები ერთობლივი ქმედების განსახორციელებლად (იმ შემთხვევაში, თუ ეს პროცედურები ვრცელდება ამავე საბჭოს მიერ ერთსულოვნად მიღებულ საკითხზე). საერთაშორისო მოვლენების შესახებ თავის აზრს ევროკავშირი ერთობლივ განცხადებებში გამოთქვამს. ეს განცხადებები ეხება, კერძოდ, ადამიანთა უფლებების დარღვევას. ამიტომ ერთსა და იმავე ინსტიტუტში გვერდიგვერდ უნდა არსებობდეს თანამეგობრობისა და მთავრობათაშორისი პროცედურები.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირის საყრდენი ბურჯია და მოიცავს საგარეო პოლიტიკის ყველა სფეროს, მათ შორის უსაფრთხოებას. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელი დადგენილებები არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს „ცალკეულ წევრ სახელმწიფოთა თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თავისებურებებზე.“ ნეიტრალური სახელმწიფოები ინარჩუნებენ განსაკუთრებულ სტატუსს, საფრანგეთსა და გაერთიანებულ სამეფოს, რომ-

ლებიც ბირთვულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, შეუძლიათ თავიანთი სპეციფიკური თავდაცვითი პოლიტიკის გატარება.

ამსტერდამის ხელშეკრულებამ ევროკავშირს ახალი ინსტიტუციური და სამოქმედო საშუალებები მისცა. ამიერიდან სწორედ ევროპულ საბჭოს ეკისრება „ერთიანი სტრატეგიის" შემუშავება, რომელიც განხორციელდება „ერთობლივი მოქმედებითა და საერთო პოზიციებზე დაყრდნობით." უფრო მეტიც, კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრა მხოლოდ ამსტერდამში იქნა შემოღებული იმ ღონისძიებებთან ან პოზიციებთან დაკავშირებით, რომლებიც ევროკავშირის საბჭომ შეიმუშავა, რათა ევროპულმა საბჭომ განახორციელოს ერთობლივი გადაწყვეტილებები; კენჭისყრის ეს სისტემა შემოღებული იქნა კონსტრუქციული თავის შეკავების პრინციპის საპასუხოდ, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებლობას აძლევს წევრ სახელმწიფოს, არ მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, მაგრამ სხვა სახელმწიფოებს ამაში ხელი არ შეუშალოს.

ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენლის ფუნქციასაც ასრულებს და ხელს უწყობს საბჭოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ფორმულირებაში, განვითარებასა და განხორციელებაში. თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს, მას შეუძლია დანიშნოს სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც განიხილავს სპეციფიკურ პოლიტიკურ საკითხებს. მაგრამ ამსტერდამის ხელშეკრულების მიერ შემოტანილი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა საბჭოს შემადგენლობაში ისეთი რგოლის დაარსება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება „პოლიტიკის შემუშავებაზე და ადრეულ ეტაპზე გასაფრთხილებელი ზომების მიღებაზე." ამ რგოლის ამოცანაა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიღწევათა მეთვალყურეობა და ანალიზი, რაც მიზნად ისახავს მოვლენების შეფასებასა და წინასწარ განჭვრეტაზე დაყრდნობით საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენას.

ევროპის საერთო თავდაცვითი პოლიტიკისკენ გადადგმული ნაბიჯები

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკამ დროთა განმავლობაში შესაძლოა საერთო თავდაცვით პოლიტიკამდე მიგვიყვანოს. ხელშეკრულების ფრთხილი ფორმულირება წევრ სახელმწიფოებს შორის კომპრომისის მაჩვენებელია და გულისხმობს, რომ თანამეგობრობის ინტერესებისთვის საჭიროა მისი საკუთარი თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავება-განვითარება, ხოლო წევრმა სახელმწიფოებმა მტკიცედ უნდა დაიცვან ატლანტიკური ალიანსით მათთვის დაკისრებული მოვალეობები. მაგრამ ცნება „საერთო თავდაცვა" მიგვანიშნებს სურვილზე, შეიქმნას მაღალგანვითარებული კავშირი თავისი სტრატეგიული და მილიტარისტული ასპექტებით.

ის ფაქტი, რომ ევროკავშირის წევრი თხუთმეტი სახელმწიფო „კავშირის თავდაცვითი მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა მიღებას და განხორციელებას" დასავლეთ ევროპის კავშირს სთხოვს (იგი მომავალში ევროკავშირის შემადგენელ ნაწილად ესახებათ), მეტყველებს, რომ ევროკავშირი ურთიერთობას ამყარებს ევროპის ერთადერთ ორგანიზაციასთან, რომელსაც თავდაცვითი როლი აკისრია. დასავლეთ ევროპის კავშირი შედგება 10 წევრი სახელმწიფოსაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბრიუსელის ხელშეკრულებას, და 5 დამკვირვებლისაგან (ირლანდია, დანია, ავსტრია, ფინეთი და შვეცია); კავშირს აქვს პარიზში განლაგებული 108 წევრიანი ასამბლეა და მინისტრთა საბჭო, რომლის სამდივნო ბრიუსელში მდებარეობს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ცხრა ქვეყნისთვის „ასოცირებული პარტნიორის" სტატუსის მინიჭებით და რუსეთსა და ნატო-ს შორის 1997 წლის 27 მაისს პარიზში ხელმოწერილი აქტის მხარდაჭერით დასავლეთ ევროპის კავშირმა დაადასტურა უსაფრთხოების სფეროში თავისი სოლიდარობა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ახლო მეზობლებთან.

ამსტერდამის ხელშეკრულებაში მოხსენიებულია ამოცანები, რომლებიც დასავლეთ ევროპის კავშირმა დასახა 1992 წლის 19 ივნისს (ჰუმანიტარული, ევაკუაციო, სამშვიდობო მისიები, სამხედრო მოქმედება კრიზისის დასაძლევად). დასავლეთ ევროპის კავშირი ეხმარება ევრო-

კავშირს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის თავდაცვითი ასპექტების განსაზღვრაში. საჭიროების შემთხვევაში ევროპული საბჭო დასავლეთ ევროპის კავშირისთვის განსაზღვრავს ორიენტირებს. უფრო მეტიც, ამსტერდამის ხელშეკრულებით რეკომენდირებულია წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობა შეიარაღების სფეროში. თანამშრომლობა, რომელიც დასავლეთ ევროპის კავშირში უკვე დაწყებულია შეიარაღების სფეროში თანამშრომლობის ერთობლივი ორგანიზაციის მიერ.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირში დასავლეთ ევროპის კავშირის შესაძლო გაერთიანების საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ამსტერდამის ხელშეკრულებაში ნათქვამია (ზუსტი თარიღის მიუთითებლად), რომ საერთო თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავების გასაადვილებლად მოწვეული უნდა იქნეს ახალი მთავრობათაშორისი კონფერენცია.

ბევრი საკითხია გადასაწყვეტი დიპლომატიური და სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. ამჟამად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შეისწავლიან ამ საკითხებს.

ევროკავშირმა სასწრაფოდ უნდა შექმნას პოლიტიკური წყობა – მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი კონტინენტისთვის, რომელსაც დღესდღეობით გამოცოცხლებული ნაციონალიზმი უფრო უქადის საფრთხეს, ვიდრე იდეოლოგიური კონფლიქტები. ამისათვის ევროკავშირმა უნდა შეიმუშაოს უმთავრესი წესები. მოსაფიქრებელია და თავიდან განსასაზღვრი ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) ფუნქციები. ეს ორგანიზაცია მოღვაწეობს ევროპის ყველა სახელმწიფოში, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, შეერთებულ შტატებსა და კანადაში; 1990 წლის 20 ნოემბრის პარიზის წესდებაში იგი განხილულია, როგორც „ცენტრალური ფორუმი პოლიტიკური კონსულტაციებისათვის" ახალ ევროპაში; გარდა ამისა, საჭიროა მაქსიმალური წონასწორობის დამყარება, ერთის მხრივ, ატლანტიკური ალიანსის (შეიცვალა რომის 1991 წლის ნოემბრის სამიტზე, გაფართოვდა 1998 წელს და მოიცვა პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა) ფუნქციებსა და, მეორეს მხრივ, დასავლეთ ევროპის კავშირისა და ევროკავშირის ფუნქციებს შორის.

1995 წლის 21 მარტს პარიზში ხელმოწერილი პაქტი ევროპაში სტაბილურობის შესახებ პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, გადადგმული ევროკავშირის მიერ ახალ ევროპაში უსაფრთხოების დამყარების მიზნით. კიდევ უფრო იმედის მომცემია ჩრდილო ატლანტიკის საბჭოს გადაწყვეტილება, მიღებული 1996 წლის 3 ივნისს ბერლინის შეხვედრაზე. ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებს ნატო-ს გარკვეული სამხედრო შესაძლებლობების (მრავალეროვნული არმიის მომზადების ჯგუფი – MITG) გავრცელებას ევროკავშირში, რაც ევროპელებს სამხედრო მომზადების პროცესში ჩაბამდა და დაადასტურებდა ევროპის ერთიანობას თავდაცვის სფეროში. ამგვარად, თანდათანობით აშენდება ატლანტიკური ალიანსის „ევროპული ბურჯი," რომელიც გაერთიანებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ხოლო ეს სახელმწიფოები, თავის მხრივ, მჭიდრო თანამშრომლობას დაამყარებენ დასავლეთ ევროპის კავშირთან და ნატო-სთან.

ევროპა ხალხის სამსახურში

რა არის ინტეგრაციის უმთავრესი მიზანი? აშენდეს ევროპა ხალხისათვის თუ ევროპა ბიზნესმენთათვის? ევროპის თანამეგობრობის დამაარსებლებს ამოძრავებდათ სურვილი, შეექმნათ ისეთი სტრუქტურა, რომელიც შეუძლებელს გახდიდა ევროპის გახლეჩას ახალი ძმათამკვლელი ომით. მათ ძლიერი, ეფექტიანი ინსტიტუციური სტრუქტურის დაარსება უნდოდათ და ამიტომ უფრო პრაგმატული მიდგომა აირჩიეს, მიდგომა, რომელიც კონცენტრირებული იყო ქვანახშირსა და ფოლადზე, საერთო ბაზარზე, სოფლის მეურნეობასა და კონკურენციაზე. შედეგად მივიღეთ თანამეგობრობა, რომელიც ზოგიერთებს ტექნოკრატიული ეჩვენებათ იმ მხრივ, რომ მას მართავენ სახელმწიფო მოხელეები, ეკონომისტები, იურისტები და მათი მსგავსნი. მაგრამ სიმართლე ის არის, რომ გრანდიოზული ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩებოდა, რომ არა განუხრელი მხარდაჭერა თანამეგობრობის ინსტიტუტების მხრივ და მათი პოლიტიკური ნება.

ხელშეკრულებებში დასახულ მიზანთა უმრავლესობა მიღწეულია: აღარ არსებობს საბაჟო ან საგადასახადო ბარიერები ან წესები, რომლებიც კრძალავენ ცალკეულ პირთა საქმიანობას ან მომსახურების და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას. ჩვენ შეიძლება ვერ ვხედებოდეთ, მაგრამ ყოველდღიურად ვიღებთ სარგებელს ახლად შექმნილი საერთო ბაზრისაგან; ეს არის საქონლის ფართო ასორტიმენტის ხელმისაწვდომობა; კონკურენცია, რომლის შედეგადაც კლებულობს ფასები; პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლისა და გარემოს დაცვას; უმაღლეს დონეზე ჰარმონიზებული სტანდარტები.



თანამეგობრობის პერიფერიებში მცხოვრები ხალხები სარგებლობენ სტრუქტურული ფონდებით, კერძოდ, ევროპის რეგიონული განვითარების ფონდით; უამრავი სარგებლობა მოუტანა ევროპელ ფერმერებს სუბსიდირების მექანიზმებმა, რომლებსაც ათეული წლების განმავლობაში აფინანსებს ევროპის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის და საგარანტიო ფონდი; ევროკავშირის უზარმაზარი საბიუჯეტო ხარჯები, რომლებიც 1998 წელს 91 მილიარდ ეკიუს აღემატებოდა, ყოველდღიური საჭიროების ზომებს ხმარდება.

მაგრამ ევროპელობა არა მარტო ევროპელ მომხმარებლობას ან ევროპის ეკონომიკის ხელშეწყობას გულისხმობს. ამიერიდან ეს ნიშნავს ევროკავშირის მოქალაქეობას. მას შემდეგ, რაც 1958 წელს ძალაში შევიდა რომის ხელშეკრულებები, თანამეგობრობა ხვეწდა თავის კანონმდებლობას, რათა შემოელო წესები მშრომელთა თავისუფალი გადაადგილების, მომსახურების გაწევის თავისუფლებისა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთათვის მუშაობის უფლების შესახებ. ევროკავშირი არ შეიწყნარებს თავისი მოქალაქის დისკრიმინაციას ნაციონალიზმის ნიადაგზე, როცა ეს მოქალაქე სამუშაოს მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს. მეტიც, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 39-ე და 42-ე (ადრინდელი 48-ე და 51-ე) მუხლების თანახმად, მიგრანტ მშრომელებს და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს უფლება აქვთ, მიიღონ სოციალური დახმარება, გაიარონ პროფესიული მომზადება; გარდა ამისა, ისინი ისეთივე საგადასახადო და სოციალური უფლებებით სარგებლობენ, როგორც იმ ქვეყნის მკვიდრნი.

იმის წყალობით, რომ თანამეგობრობა მუდამ ცდილობდა სხვადასხვა ქვეყნის დადგენილებათა ერთმანეთთან მიახლოებას, დღეს ყოველი წევრი სახელმწიფო აღიარებს პრაქტიკოსი ექიმების, იურისტების, მედდების, ვეტერინარების, ფარმაცევტების, არქიტექტორების, სადაზღვევო ბროკერების და სხვა მშრომელთა კვალიფიკაციას, რომელიც სხვა წევრ სახელმწიფოებშია მიღებული.

რადგან მრავალი პროფესია ჯერ კიდევ ეროვნულ წესებს ემორჩილება, 1998 წლის 21 დეკემბერს წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს ამომწურავი დირექტივა, რომელმაც დაწესა უმაღლესი განათლების დიპლომების ურთიერთაღიარების სისტემა. ეს სისტემა ვრცელდება სამ ან მეტ წლიანი საუნივერსიტეტო კურსის გავლის შემდეგ გაცემულ ყველა დიპლომზე და დამყარებულია წევრი სახელმწიფოების ნდობაზე ერთმანეთის საგანმანათლებლო სისტემებისადმი.

პირველი უფლება, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეებს მიენიჭათ, არის ევროკავშირში ნებისმიერ ადგილას გადაადგილების, მუშაობისა და ცხოვრების უფლება. 1990 წლის ივნისში მიღებულმა სამმა დირექტივამ ცხოვრების უფლება განავრცო სტუდენტებზე, პენსიონერებსა და მომუშავე თუ არამომუშავე პირებზე, რომლებსაც საკმარისი სახსრები აქვთ საკუთარი თავის სარჩენად. ეს უფლება შეტანილი იქნა მაასტრიხტის ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეობას შეეხება.

ეს უფლებები, რომლებსაც მართლმსაჯულების სასამართლო იცავს, არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ წევრი სახელმწიფოს მოქალაქე ევროკავშირის მოქალაქე გამხდარიყო. საჭირო იყო სხვა, კანონით განსაზღვრული, უფლებების (სუვერენობის გადაცემის ჩათვლით) დამატება. ეს შესაძლებლობას იძლეოდა, ევროკავშირის ყველა ეროვნებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო სახელმწიფო სექტორში შემავალი (სახელმწიფოს შინაურ საქმედ მიჩნეული სფეროების — პოლიციის, ჯარის და დიპლომატიური კორპუსის გარდა) სამუშაო ადგილები, მაგალითად, სამუშაო ადგილები ჯანდაცვის მომსახურებაში, განათლების სფეროში და სახელმწიფო კორპორაციებში. რასაკვირველია, კარგი იქნება, თუ რომის მკვიდრ ბავშვებს ინგლისურს ბრიტანელი მასწავლებელი ასწავლის, ხოლო ფრანგი კურსდამთავრებული ახალგაზრდა სამსახურს ბელგიის სამოქალაქო სამსახურში მოძებნის.

საერთო-სახალხო ევროპის მშენებლობის პროცესმა მაასტრიხტში დიდი წინსვლა განიცადა — მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ყოველ მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს არა თავის მშობლიურ წევრ სახელმწიფოში, მისცემოდა უფლება, ხმა მიეცა ან თავად ეყარა კენჭი მუნიციპალურ და საერთო ევროპულ არჩევნებში. ამსტერდამის ხელშეკრულებაში ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია მე-17 მუხლში: „დაწესებულია ევროკავშირის მოქალაქეობა. ევროკავშირის მოქალაქე არის წევრი სახელმწიფოს ნებისმიერი მოქალაქე. კავშირის მოქალაქეობა კი არ ცვლის, არამედ ემატება მშობლიური ქვეყნის მოქალაქეობას." ამ ახალმა უფლებებმა გარკვეული პროტესტი გამოიწვია ეროვნულ თვითმყოფადობასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებით. არგუმენტი, რომ ევროპის მოქალაქეობა ავსებს და აძლიერებს წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობას, ახალია და საკმაოდ გაბედულიც; ის ისეთ კითხვებს წამოჭრის, რომლებზე პასუხიც პოლიტიკოსებმა უნდა გაგვცენ. ადამიანებზე ზრუნვით აშენებული ევროპა ჯერ კიდევ არ არის პოლიტიკური კავშირი. ევროპის ხალხებმა უნდა დაინახონ, თუ რა ფასეულობებსა და მისწრაფებებს გაიზიარებენ ისეთი ევროკავშირის შემადგენლობაში, რომელმაც შეიძლება 25 წევრი გაართიანოს — შეუძლებელია ადამიანებს ხელოვნურად მოახვიო თავს გრძნობა, რომ ერთ მთლიანობას წარმოადგენენ, საერთო ბედ-იღბალს ინაწილებენ.

დადგა დრო კულტურული ინტეგრაციისა შემდგომი პროგრესის მისაღწევად და ერთიანი ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად.

ამ პროცესში თავისი წელილი უნდა შეიტანოს განათლებამ და მოსამზადებელმა პროგრამებმა. ეს პროგრამებია "Erasmus" (ევროპის თანამეგობრობის სამოქმედო გეგმა უნივერსიტეტების სტუდენტთა მობილურობის დონის ასამაღლებლად), "Comett" (თანამეგობრობის პროგრამა, გამიზნული ტექნოლოგიის სფეროში განათლებისა და მომზადებისათვის) და "Lingua" (ევროპის თანამეგობრობაში უცხო ენათა ცოდნის ასამაღლებელი პროგრამა); ამ პროგრამების განხორციელებას ხელს უწყობს თანამეგობრობა; მისი წყალობით თითქმის 60000-მა ახალგაზრდამ მიიღო გრანტი თანამეგობრობის სხვა ქვეყანაში სასწავლებლად. ამის მიზანია, საშუალება მიეცეს ყოველი წლის სტუდენტური ნაკადის 10%-ს, ერთი აკადემიური წელიწადი სხვა წევრი სახელმწიფოს უნივერსიტეტში ისწავლოს. ამ მიზნის მისაღწევად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს თანამეგობრობის სხვა ფონდებიც, რაშიც ახალ პროგრამებს — "Socrates"-ს, "Leonardo da Vinci"-ს და "Youth for Europe III"-ს შეუძლიათ დახმარების გაწევა. გარდა ამისა, თანამეგობრობა თავისი „მეორადი შესაძლებლობის" სკოლების საშუალებით მონაწილეობს გარკვეული პრობლემების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში. ევროპის ოთხმა ქალაქმა (მარსელმა, ბილბაომ, კატანიამ და ჰემენლინამ) გადაწყვიტეს, ამგვარი სკოლების საშუალებით ბრძოლა გამოუცხადონ საზოგადოებიდან გარიყვას და გარიყვას საგანმანათლებლო სფეროში.

1996 წლის იანვარში ევროკომისიამ თავისი პროგრამით „ევროპის ნებაყოფლობითი სამსახური" მოუწოდა ევროპის ახალგაზრდებს, მონაწილეობა მიეღოთ რომელიმე სხვა (არა მათ მშობლიურ) წევრ სახელმწიფოში განხორციელებულ სოციალურად სასარგებლო პროგრამებში (სოციალურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ თუ გარემოსდაცვით აქციებში), რაც მიზნად ისახავს 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებში მობილურობის დონის ამაღლებას და მათთვის შრომითი ცხოვრების დაწყების გაიოლებას. პროგრამა უკვე ათასობით ახალგაზრდას დაეხმარა.

საერთო-სახალხო ევროპას ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი. უკვე არსებობს ევროპული პასპორტი (მოქმედებს 1985 წლიდან), ევროპის ჰიმნი („სიხარულის ოდა" ბეთოვენის მე-9 სიმფონიიდან) და დროშა (ცისფერ ფონზე თორმეტი ოქროსფერი წრიულად განლაგებული ვარსკვლავი). 1996 წლიდან წევრ სახელმწიფოებში გამოდის მართვის უფლება, რომელიც მთელი ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს. და, ალბათ, მალე დადგება დრო, როცა იარსებებს ევროპის ოლიმპიური გუნდები ან მრავალეროვნული შემადგენლობის სამხედრო შენაერთები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელმაც, ალბათ, უდიდესი ფსიქოლოგიური ზეგავლენა იქონია ხალხისთვის გამიზნული ევროპის შენების საქმეში, იყო მაასტრიხტის მოლაპარაკებისას მიღებული გადაწყვეტილება 1999 წელს ერთიანი ვალუტის შემოღების თაობაზე. ამ დროისათვის მომხმარებლები ფინანსურ ოპერაციებს ბანკებში ევროს საშუალებით აწარმოებენ. როცა საქონლის თუ მომსახურების ფასები ევროკავშირის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ერთსა და იმავე ვალუტაში იქნება დაფიქსირებული, შესაძლებელი გახდება ბაზრის მდგომარეობის სრულყოფილად წარმოდგენა და მომხმარებლები სასურველი საქონლის ან მომსახურების შეძენისას ყველაზე ხელსაყრელი პირობებით ისარგებლებენ, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციის გაძლიერებას და ფასების შემცირებას. სასაზღვრო კონტროლის გაუქმება შენგენის ზონაში (რაც საბოლოოდ ყველა წევრ სახელმწიფოზე გავრცელდება) უკვე ხელს უწყობს ევროპელებში იმ გრძნობის გაღვივებას, რომ მათ საერთო სახლი აქვთ.

„ჩვენ არ ვაყალიბებთ კოალიციებს სახელმწიფოებს შორის, ჩვენი მიზანია ადამიანებს შორის კავშირის დამყარება,[4] — თქვა ჟან მონემ 1952 წელს. დღევანდელ დღეს ევროკავშირის ინსტიტუტების უმთავრესი ამოცანაა ევროპული ინტეგრაციის პროცესისთვის ხალხის მხარდაჭერის მოპოვება. მოქალაქეებმა უნდა გააცნობიერონ ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებსაც მათ საერთო ბაზარი და ევროკავშირის პოლიტიკის სხვა მიმართულებები ჰპირდება. ამისათვის 1996 წელს შემოღებული იქნა საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები: „ევროპელი ადამიანები", „ევროპული ვალუტა — ევრო" და „მოდი, ერთად ავაშენოთ ევროპა".

იმისათვის, რომ ევროპის მოქალაქეს გაეთავისებინა ცნება „ევროკავშირი", ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 195-ე (ყოფილი 138(ე)-ე) მუხლის თანახმად დაარსდა ომბუდსმენის ინსტიტუტი. ომბუდსმენს (სახელი სკანდინავიური ტრადიციიდან მომდინარეობს) ნიშნავს ევროპარლამენტი და მისი უფლებამოსილების ვადა ემთხვევა ევროპარლამენტის უფლებამოსილების ვადას. ომბუდსმენს შეუძლია თანამეგობრობის ინსტიტუტების თუ ორგანიზაციების წინააღმდეგ საჩივრების მიღება. ევროკავშირის ნებისმიერ მოქალაქეს, წევრ სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს და ამ სახელმწიფოში რეგისტრირებული საქმიანობის მქონე პირებს შეუძლიათ ომბუდსმენს წარუდგინონ საკითხი განსახილველად. საჩივრის მიღების შემდეგ ომბუდსმენი ცდილობს, თანამეგობრობის ინსტიტუტებთან სადავო საკითხი მშვიდობიანად გადაწყვიტოს. ომბუდსმენის ინსტიტუტი 1995 წლის სექტემბერში ამოქმედდა და მას შემდეგ 1400-ზე მეტი საჩივარი მიიღო. მოქალაქეებსა და ინსტიტუტებს შორის კავშირის მნიშვნელოვანი წყაროა ევროპარლამენტის ტრადიცია, მიიღოს წევრი სახელმწიფოების მცხოვრებთა პეტიციები. 1994—1997 წლებში მან 4000-ზე მეტი პეტიცია მიიღო.

ამსტერდამის ხელშეკრულება მიზნად ისახავს, დაუახლოოს ევროკავშირი მოქალაქეებს უმუშევრობასთან, დაუცველობასა თუ იმიგრაციასთან დაკავშირებული მათი პრობლემების გადაჭრის გზით.

[4] 1952 წლის 30 აპრილს ვაშინგტონში წარმოთქმული სიტყვა.

გარდა ამისა, ამსტერდამის ხელშეკრულებაში შეიმჩნევა პროგრესი ადამიანთა ძირითადი უფლებების განხორციელების სფეროში. „სანქციების პროცედურა გულისხმობს, რომ შეჩერებული იქნება იმ წევრი სახელმწიფოს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები, რომელშიც ირღვევა ადამიანთა ძირითადი უფლებები. ამსტერდამის მოლაპარაკებისას გაფართოვდა, აგრეთვე, პრინციპი, მიმართული ეროვნულ (მე-ნ(ა) მუხლი), სქესობრივ, რასობრივ, რელიგიურ, ასაკობრივ და სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე ადამიანთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ. გარდა ამისა, დისკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპს დაემატა მამაკაცთა და ქალთა თანასწორობა.

დაბოლოს, ამსტერდამის ხელშეკრულება ითვალისწინებს იმ პოლიტიკის გაუმჯობესებას, რომელიც ეხება მოქალაქეთათვის ევროპული ინსტიტუტების მიერ შემუშავებული დოკუმენტების გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას.

1979 წელს ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნების შემოღებამ ხელი შეუწყო ინტეგრაციის პროცესის დაკანონებას, ვინაიდან შესაძლებელი გახდა უშუალო კავშირის დამყარება ხალხთან. პარლამენტმა უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს; უფრო მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს ცალკეულ ადამიანებთან, რაც ასოციაციებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს; გარდა ამისა, უსათუოდ უნდა შეიქმნას ევროპული პარტიები. თუნდაც მარტო ეს ჩამონათვალი ადასტურებს, რომ, თუმცა თავად ევროპა რეალობას წარმოადგენს, ევროპის მოქალაქეობა ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია.

ევროკავშირის გაფართოება

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და კვიპროსი

1997 წლის 13 დეკემბერს ევროკავშირის წევრმა 15-მა სახელმწიფომ გადაწყვიტა, კავშირის შემადგენლობაში მიეღო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ეს გადაწყვეტილება გამოცხადდა 1997 წლის 12-13 დეკემბერს ევროპული საბჭოს ლუქსემბურგის სხდომაზე. ამის შემდეგ ევროპულმა საბჭომ დაიწყო ევროკავშირის გაფართოების პროცესი, რაც უნდა განხორციელდეს „ეტაპობრივად, ყოველი მომავალი წევრის მომზადების დონის შესაბამისად", და რაც მიზნად ისახავს „მომავალ წევრ სახელმწიფოებში ისეთი მდგომარეობის მიღწევას, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გაერთიანება ევროკავშირში და ევროკავშირის მომზადება გაფართოებისათვის სასურველი პირობებით."

ზემოხსენებული გადაწყვეტილება მოჰყვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და კვიპროსთან მოლაპარაკების ხანგრძლივ პროცესს, რომელიც დაიწყო სულ მალე ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ.

1989 წლის ივლისში პარიზში დიდი შვიდეულის სამიტზე წამყვანმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ევროკომისიას პოლონეთისა და უნგრეთისათვის ეკონომიკური დახმარების პროგრამის კოორდინირება სთხოვეს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დანარჩენმა წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ გადაწყვეტილებას და შეთანხმდნენ, ჩამოეყალიბებინათ 24 წევრისგან (თანამეგობრობის 12 იმდროინდელი წევრი, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ექვსი წევრი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, იაპონია, ახალი ზელანდია, ავსტრალია და თურქეთი) შემდგარი ჯგუფი.

პროგრამა "PHARE" (დახმარება პოლონეთისა და უნგრეთისათვის ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის მიზნით) გავრცელდა ჩეხეთის რესპუბლიკაზე, სლოვაკიაზე, ბულგარეთზე, რუმინეთზე, ბალტიისპირეთის სამ სახელმწიფოზე, ალბანეთზე და ყოფილი იუგოსლავიის ზოგ სახელმწიფოზე.

ეს პროგრამები მოიცავს ხუთ პრიორიტეტულ სფეროს: დახმარების მიმღები ქვეყნების მიერ წარმოებული საქონლისთვის დონორი ქვეყნების ბაზრების ხელმისაწვდომობას; სოფლის მეურნეობას და საკვების წარმოებას; ინვესტირების ხელშეწყობას; პროფესიულ მომზადებას და გარემოს დაცვას.

მთავარი მოსაზრება, რომელიც პროგრამებს უდევს საფუძვლად, არის ის, რომ გაწეულმა დახმარებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებათა პროცესის მიმდინარეობას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და საშუალება მისცეს მათ, მონაწილეობა მიიღონ ევროპულ ინტეგრაციაში.

ევროკავშირის პოლიტიკის ტენდენცია უფრო პროგრამების დაფინანსებაა, ვიდრე ცალკეული პროექტებისა. პროგრამების მართვა და განხორციელება დეცენტრალიზებულია და ყოველთვის მიიღება ზომები სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ჩასართავად, რათა ამ პროცესში საზოგადოების რაც შეიძლება ფართო მასები იქნეს მოზიდული.

ევროკავშირმა და წევრმა სახელმწიფოებმა 1990 წლიდან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებისათვის თითქმის 140 მილიარდი ეკიუ გამოყვეს კრედიტებისა და დახმარების სახით.[1]

ევროპული შეთანხმებები

კონტინენტის მასშტაბით უფრო სრული ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირმა განავრცო და გააფართოვა პროგრამა "PHARE" და ასოცირებული შეთანხმებები დადო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან. ეს „ევროპული შეთანხმებები," რომლებიც გათვალისწინებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 310-ე (ყოფილი 238-ე) მუხლით, ზღვარს ავლებს ეროვნული და ევროკავშირის კომპეტენციის სფეროებს შორის.

[1] 1997 წლის 28 მაისს ტრანსატლანტიკურ სამიტზე ჟაკ სანტერის მიერ გაკეთებული განცხადება.

ამ შეთანხმებათა ძირითადი მიზნებია:

- პოლიტიკური დიალოგი;
- თავისუფალი ვაჭრობა და გადაადგილება;
- ეკონომიკური თანამშრომლობა;
- ფინანსური თანამშრომლობა;
- კულტურული თანამშრომლობა.

1993 წლის 22 ივნისს ევროპული საბჭოს კოპენჰაგენის სხდომაზე მიღებული იქნა პრინციპი, რომლის თანახმადაც ასოცირებულ წევრებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, თუკი სურთ, შეუძლიათ გახდნენ ევროკავშირის წევრები: „ასოცირებული სახელმწიფო ევროკავშირის წევრად მიღებული იქნება მაშინვე, როგორც კი შეძლებს იკისროს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების შესრულების თაობაზე." ეს პირობები გულისხმობს სტაბილურ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, უმცირესობათა პატივისცემას, ისეთი საბაზრო ეკონომიკის არსებობას, რომელიც შეძლებს ევროკავშირში არსებული კონკურენციის პირობებში მოქმედებას და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საავალუტო ერთიანობასთან დაკავშირებული მიზნების განხორციელებას.

1997 წლის 16 ივლისს ევროკომისიამ ევროპის პარლამენტს წარუდგინა „პროგრამა 2000 წლისათვის." დოკუმენტი, რომელშიც თანმიმდევრულად არის აღწერილი სახელმწიფოების მომზადება გაწევრიანებისათვის. აღმოსავლეთ ევროპის ათმა ქვეყანამ და კიპროსმა ოფიციალური განაცხადები წარადგინეს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე (მალტამ 1996 წლის ოქტომბერში გამოითხოვა თავისი განაცხადი). ევროკავშირი, რომელიც ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის „ახალი" ქვეყნების ამგვარი ენთუზიაზმის წინაშე დადგა, იძულებული იყო, ამოქმედებულიყო. მას შემდეგ, რაც დეტალურად განიხილა ცენტრალური

და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ შეტანილი კითხვარი მათი ინსტიტუტებისა და მიმდინარე რეფორმების შესახებ, ევროკომისიამ რეკომენდაცია გაუწია გაწევრიანებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა დაწყებას ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვენიასთან. ევროკომისიაში მიიჩნიეს, რომ ეს ქვეყნები ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ კოპენჰაგენის ევროპული საბჭოს მიერ 1993 წლის ივნისში დადგენილ კრიტერიუმებს. ამ რეკომენდაციების მიუხედავად ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი და სლოვაკია ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტიული კანდიდატები არიან. ლუქსემბურგის ევროპული საბჭოს 1997 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე დადგინდა, თუ რომელ სახელმწიფოებთან არის შესაძლებელი მოლაპარაკებების დაწყება. ევროკომისიის მოსაზრებათა გათვალისწინებით დაიწყება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და კიპროსის გაწევრიანების პროცესი.

ამ პროცესის დაწყებამდე მოწვეული იქნება ევროპის ქვეყნების კონფერენცია, „რათა მოხდეს დაახლოება წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოებისა, რომლებსაც, გაწევრიანებასთან ერთად, კავშირის ფასეულობათა და შინაური თუ საგარეო მიზნების გაზიარების სურვილიც აქვთ." თავდაპირველი განზრახვით, ეს კონფერენცია უნდა გამართულიყო კიპროსის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და თურქეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

ევროპის ქვეყნების კონფერენცია მრავალმხრივი ფორუმი იქნება პოლიტიკური კონსულტაციების გასაწევად, რაც მიზნად ისახავს დამსწრე ქვეყნების უმთავრესი ინტერესის სფეროების განხილვას და გადაწყვეტას. ეს, თავის მხრივ, გააღრმავებს და განავითარებს მათ თანამშრომლობას როგორც საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების, სამართალდამცავ და შინაურ საქმეთა, ისე მათი საერთო ინტერესის სხვა სფეროებში, განსაკუთრებით ეკონომიკისა და რეგიონული თანამშრომლობის სფეროებში. პირველი კონფერენცია გაიმართა 1998 წლის 12 მარტს ლონდონში; მასზე არ იყო წარმოდგენილი თურქეთი.

თავისთავად გაწევრიანების პროცესი 1998 წლის 30 მარტს დაიწყო; დაისახა კონკრეტული მექანიზმი — იგი მჭიდრო კავშირშია გაწევრიანებამდე გატარებულ გაძლიერებულ სტრატეგიასთან, რომლის მიზანია მომავალი წევრი სახელმწიფოების შეძლებისდაგვარად შესაბამისობაში მოყვანა თანამეგობრობის კანონმდებლობასთან. ამისათვის მნიშვნელოვნად გაიზრდება მომავალი წევრებისთვის გაწევრიანებამდე გასაწევი დახმარება და 2000 წლიდან პროგრამა "PHARE"-ით გათვალისწინებულის გარდა, მოიცავს სოფლის მეურნეობის სფეროში დახმარებას და ისეთ სტრუქტურულ მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა, პრიორიტეტი მიენიჭოს ურთიერთდაახლოების ხელშემწყობი ფონდებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. „პროგრამაში 2000 წლისათვის" ევროკომისიას განზრახული აქვს ახალი წევრებისთვის 2006 წლამდე 45 მილიარდი ეკიუს გამოყოფა; აქედან 7 მილიარდი ეკიუ გაწევრიანებამდე გასაწევ დახმარებას მოხმარდება.

შემუშავებულია კიპროსისთვის გაწევრიანებამდე გასაწევი დახმარების განსაკუთრებული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს კიპროსის განვითარების დონეს და მის შესაბამისობას თანამეგობრობის კანონმდებლობასთან.

1998 წლის 31 მარტს ორმხრივი მთავრობათაშორისი კონფერენციების ფორმით დაიწყო მოლაპარაკებები გაწევრიანების თაობაზე კვიპროსთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვენიასთან. დაჩქარდება მოლაპარაკებები დანარჩენი მომავალი წევრების გაწევრიანების თაობაზე.

თუ გავითვალისწინებთ მომავალი წევრებისა და მათი მოსახლეობის დიდ რაოდენობას, აგრეთვე მათი განვითარების საგრძნობ უთანასწორობას თანამეგობრობის საერთო დონესთან შედარებით, ახლანდელი გაფართოება ევროკავშირს სერიოზულ ამოცანებს წამოუჭრის. რამდენად წარმატებული იქნება ინტეგრაცია 110 მილიონი ადამიანისა, რომლებიც ევროკავშირის მოსახლეობის 1/5-ს წარმოადგენენ, ხოლო მათი ერთობლიები ეროვნული პროდუქტი ევროკავშირის იგივე მაჩვენებლის 5 პროცენტზე ნაკლებია?!

თუ ევროკავშირის ინსტიტუტებს უნდათ თავიდან აიცილონ პარალიზების ან დაუძლურების საშიშროება, მომავალ ათწლეულში უნდა მოახერხონ ამ ამოცანის გადაჭრა, და ეს მოითხოვს მათ მიერ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმების გაუმჯობესებას.*

ურთიერთობა ევროკავშირსა და თურქეთს შორის

ევროკავშირს თურქეთთან კავშირი 1963 წლიდან აქვს, მას შემდეგ, რაც ხელმოწერილი იქნა ასოცირებული შეთანხმება, რომლის მიზანი იყო საბაჟო კავშირის შექმნა. მიუხედავად ამისა, შეთანხმება საბაჟო კავშირის შექმნის თაობაზე ევროკავშირსა და თურქეთს შორის მხოლოდ 1995 წლის 31 დეკემბერს შევიდა ძალაში. ამ შეთანხმების თანახმად, ორივე მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გააუქმოს საბაჟო გადასახადი სამრეწველო საქონელზე. თურქეთმა იკისრა საერთო საბაჟო ტარიფის მიღება.

* ლუქსემბურგის ევროპული საბჭოს 1997 წლის 13 დეკემბრის განცხადება: „ევროკავშირის გაფართოება, პირველ რიგში, მოითხოვს მისი ინსტიტუტების მუშაობის გაფართოებას და გაქტიურებას ამსტერდამის ხელშეკრულების იმ დებულებათა შესაბამისად, რომლებიც ინსტიტუტებს ეხება."

მაგრამ თურქეთი ყოველთვის ითხოვდა, რომ მისი ურთიერთობა ევროკავშირთან გასცდენოდა საბაჟო კავშირის მკაცრ ჩარჩოებს. 1987 წლის 14 აპრილს მან წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე.

თურქეთთან ურთიერთობის განსაკუთრებული შემთხვევა წლების განმავლობაში მწვავე დისკუსიის თემას წარმოადგენდა. 1997 წლის 13 დეკემბრის ლუქსემბურგის ევროპულმა საბჭომ დაადასტურა „თურქეთის შესაბამისობა ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნებთან" და მიიწვია იგი მონაწილეობის მისაღებად ევროპულ კონფერენციაში, „რომელიც დააახლოებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და ევროკავშირთან შეერთების და მისი ფასეულობებისა თუ შინაური და საგარეო მიზნების გაზიარების მსურველ სახელმწიფოებს. თუმცა აქვე ისიც აღინიშნა, რომ გაწევრიანებისთვის საჭირო კრიტერიუმები დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების მხრივ ჯერ არ არის დაკმაყოფილებული; მიუხედავად ამისა, შემუშავდა სტრატეგია, დამყარებული ასოცირებული შეთანხმების გაღრმავებაზე.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოები

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე საშუალება მისცა ევროკავშირს, მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან (სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელარუსთან, საქართველოსთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან, მოლდოვასთან, რუსეთთან, ტაჯიკეთთან, თურქმენეთთან, უკრაინასა და უზბეკეთთან) და მონღოლეთთან. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის გამიზნული პროგრამა "PHARE"-ის მსგავსად, პროგრამა "TACIS" საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში ტექნიკურ და ეკონომიკურ დახმარებას უწევს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს. ეს პროგრამა ითვალისწინებს დახმარებას მრავალ სფეროში: ბირთვულ უსაფრთხოებაში, ენერგეტიკაში, გარემოს დაცვაში, სახელმწიფო მოხელეთა სამსახურის რეფორმაში, ბიზნესის განვითარებაში და სხვ. ევროკავშირი ამ ქვეყნების პირველი სპონსორია – 1991–1995 წლებში კავშირმა მათ 2,27 მილიარდი ეკიუ გამოუყო.

პროგრამა "TACIS"-ის პარალელურად დაიდო პირდაპირი შეთანხმებები ზოგიერთ ქვეყანასთან. 1994 წლის ივნისში გაფორმდა შეთანხმება პარტნიორობის შესახებ ევროკავშირს და რუსეთსა და უკრაინას შორის, რომლის მიზანია საუკუნის ბოლოსათვის თავისუფალი ვაჭრობის ზონის დაარსება და ევროკავშირის ამ ორი მნიშვნელოვანი პარტნიორისათვის დახმარების გაწევა ნამდვილი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში და მათი ვალუტის სტაბილიზებაში.

შუალედური შეთანხმება რუსეთსა და ევროკავშირს შორის, რომელიც ძალაში შევიდა 1996 წლის 1 თებერვალს, ეკვივალენტურია 1994 წლის ივნისში ხელმოწერილი პარტნიორობის შესახებ შეთანხმების კომერციული ნაწილისა (ძალაში შევიდა 1997 წლის 1 დეკემბერს). ამ შეთანხმების კონკრეტული მიზანია, რომ რუსეთმა ისარგებლოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით. კომერციული შეთანხმების გარდა, შემუშავებული იქნა სტრუქტურები პოლიტიკური დიალოგის განვითარებისათვის.

მაგრამ დღესდღეობით ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ ევროკავშირში გაერთიანების რეალური სურვილი, რაც გამოწვეულია შესაბამისი ინფრასტრუქტურების ნაკლებობით; ამ ქვეყნებმა მთელი ყურადღება საკუთარ აღდგენაზე ზრუნვას უნდა მოახმარონ.

ევროკავშირი და მსოფლიო

რას წარმოადგენს ევროკავშირი? ძირითად პოლიტიკურ ძალას თუ რეგიონულ ეკონომიკურ დაჯგუფებას? ღია სავაჭრო პარტნიორს თუ პროტექციონისტულ ბლოკს? სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებული დამოკიდებულება ევროკავშირისადმი განისაზღვრება აღნიშნულ ქვეყანასა და ევროკავშირს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათით. ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს ეკონომიკური, დიპლომატიური, კულტურული ან სტრატეგიული.

მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ძალა – ევროკავშირი – თანდათანობით პოლიტიკურ გოლიათად ყალიბდება. ევროკავშირის პოლიტიკურ ძალად გარდასახვას დასაბამი მაასტრიხტის მოლაპარაკებამ დაუდო, რომლის დროსაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ერთიანი ვალუტისა და საერთო თავდაცვითი პოლიტიკის შემოღების შესახებ. დრო გვიჩვენებს, გამოიჩენს თუ არა ევროპის 15 სახელმწიფო კეთილ ნებას და დათმობს თავის სუვერენიტეტს ამ საკვანძო საკითხებში.

ევროპის თანამეგობრობის დამაარსებლებმა საფუძველი ჩაუყარეს საერთაშორისო ასპარეზზე ევროპული ფენომენის დამკვიდრებას. 1968 წელს თანამეგობრობამ მიიღო საერთო საბაჟო ტარიფი, საერთაშორისო დოკუმენტი ქვეყნებს შორის საბაჟო გადასახადებისა და კვოტების გაუქმების თაობაზე. ვინაიდან ევროპის ეკონომიკა, ძირითადად, შემოტანილი ნედლეულიდან მაღალი დამატებითი ღირებულების მზა პროდუქციის წარმოებაზეა ორიენტირებული, თანამეგობრობა ცდილობს, ხელი შეუწყოს ღია სავაჭრო სისტემის საყოველთაო დამკვიდრებას. "GATT"-ის ფარგლებში, სადაც წევრი სახელმწიფო



მოლაპარაკებისას დამოუკიდებელ მხარეებს წარმოადგენენ. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ევროკავშირის სანქცია. სავაჭრო მოლაპარაკებათა ძირითად რაუნდებში გადამწყვეტი როლი ითამაშა ლიბერალიზაციაზე აქცენტის გაკეთებამ. რომის ხელშეკრულების თანახმად, საბაჟო გადასახადების შესახებ მოლაპარაკებების წარმოებაზე, უსაფრთხოებისა და ანტი-დემპინგური ზომების განხორციელებასა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ წესების შემუშავებაზე პასუხისმგებლობა თანამეგობრობის ინსტიტუტებს აკისრია.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ევროკავშირში იმპორტირებული სამრეწველო პროდუქციის მიმართ გამოყენებული საბაჟო გადასახადების საშუალო ტარიფი დღეისათვის 5%-ზე ნაკლებია. 1994 წელს ევროკავშირი და მისი პარტნიორები "GATT"-ის მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდში შეთანხმდნენ მომსახურებითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში ახალი წესების შემოღების თაობაზე. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული დებატების დროს წინა პლანზე წამოიწია განსხვავებამ ფერმერული მეურნეობების მდგომარეობას შორის ატლანტიკის ოკეანის სხვადასხვა ნაპირას. ეს აიხსნება იმით, რომ ევროკავშირი წარმოადგენს წევრ სახელმწიფოთა კავშირს, რაც უფრო ეფექტიანს ხდის ცალკეულ წევრთა პოზიციების დაცვას.

1993 წელს საერთო ბაზრის შემოღებამ გააძლიერა საერთო სავაჭრო პოლიტიკა: მოიხსნა წევრ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ არსებული შეზღუდვა იმპორტზე. მოიხსნა, აგრეთვე, შეზღუდვები განსაკუთრებული პროდუქციის (მაგალითად, ავტომობილები და ელექტრონიკა იაპონიიდან, ფოლადი და ტექსტილი) შიდა განაწილებაზე. მარაკეშის შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური შედეგია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შექმნა. ეს იქნება მუდმივი საერთაშორისო სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას და მოლაპარაკებების ორგანიზებას.

დღეს საკითხი საერთო ბაზრის მნიშვნელობის შესახებ ევროპის ეკონომიკისთვის შემდეგნაირად დგას: ევროკავშირი პროტექციონისტულ ციხესიმაგრედ იქცა თუ პირიქით — უიაფესი ექსპორტის, ყოველგვარი კონკურენციისაგან დაუცველ ზონად, სადაც საკუთარი მეწარმის ინტერესების დაცვა შეუძლებელი ხდება? ევროკავშირი, თავისი 373 მილიონიანი მომხმარებლით, შემოსავლის და ცხოვრების სტანდარტების მაღალი დონით, მსოფლიო ექსპორტიორების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. თუმცა კავშირს დღეს შესწევს ძალა, აიძულოს თავისი პარტნიორები, დაიცვან ის წესები, რომლებიც უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენციის და ურთიერთხელსაყრელი საბაზრო ურთიერთობების განხორციელებას.

დრო გვიჩვენებს, თუ როგორ შედეგს გამოიღებს ეკონომიკური და სავალუტო კავშირი და რა როლს ითამაშებს ერთიანი ევროპული ვალუტა საერთაშორისო მონეტარულ სისტემაში. ერთიანი სავალუტო ზონის შემოღებით მიღწეული სტაბილურობა ძალზე მიმზიდველი უნდა იყოს როგორც შიდა, ასევე გარე ინვესტორთათვის. წარსულს ჩაბარდება კავშირის საზღვრებში ვალუტათა შორის არსებული სხვაობა. სხვა ქვეყნების და წამყვანი კომპანიების ფულად რეზერვებში გაიზრდება ევროს ხვედრითი წილი, რაც დოლარისა და იენის კურსის ცვალებადობისგან უსაფრთხოების გარანტია გახდება.

ევროკავშირმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი, როგორც ეკონომიკურმა, სავაჭრო და სავალუტო ძალამ. ამასთან, თუ მაასტრიხტის ხელშეკრულებით დასახულ შესაძლებლობებს გამოიყენებს, მას პოლიტიკურ ძალად ქცევის პოტენციალიც აქვს.

დღეისათვის ზღვარი ევროკავშირის ეკონომიკურ და დიპლომატიურ მოღვაწეობას შორის საერთაშორისო ასპარეზზე პრაქტიკულად წაშლილია. მართალია, შესაძლებელია პოლიტიკური გადაწყვეტილების სახელმწიფოებრივ დონეზე მიღება, მაგრამ მისი განხორციელებისთვის აუცილებელია თანამეგობრობის ნებართვა. გადაწყვეტილებების მიღება ფოლკლენდის კონფლიქტის დროს არგენტინის მიმართ, აგრეთვე სპარსეთის ყურეში ომის დროს ერაყის წინააღმდეგ სანქციების გამოყენების თაობაზე თანამეგობრობის სტრუქტურებში ხდებოდა. როდესაც ევროკავშირი საერთო პოზიციას იკავებს, ვთქვათ, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის ან გაეროს ფარგლებში, შეუძლებელი ხდება საკითხის პოლიტიკური და ეკონომიკური მხარეების გამიჯვნა, თუ საკითხი ეხება ისეთი ღონისძიებების

გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ევროკავშირისადმი ნდობას. გაერო-ში ევროკავშირს დამკვირვებლის სტატუსი აქვს და წარმოდგენილია ევროკომისიის მუდმივი დელეგაციით და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნით. ევროკავშირის მიერ ხელმოწერილი იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 50-მდე კონვენცია და შეთანხმება. კავშირის წარმომადგენლები ესწრებიან მრავალ საერთაშორისო კონფერენციას (მაგალითად, 1997 წლის დეკემბერში კიოტოში გამართულ კონფერენციას, რომლის თემა იყო გლობალური დათბობა; კონფერენციას საკვები პროდუქტებით მსოფლიოს უზრუნველყოფის შესახებ და სხვ.). შინ თუ გარეთ, ევროკავშირი ცდილობს განახორციელოს თავისი ძირითადი მისია: ხელი შეუწყოს საერთაშორისო გაერთიანებათა შექმნას და მათ ერთობლივ ფუნქციონირებას.

ძირითადი ინდუსტრიული პარტნიორები

აშშ ევროპას მიიჩნევს მოკავშირედ, რომელიც მის ფასეულობებსა და შეხედულებებს იზიარებს. ამავე დროს, მათ შორის კომერციული და ტექნოლოგიური მეტოქეობაც არსებობს. 1990 წლის 20 ნოემბერს აშშ-ს, ევროპის თანამეგობრობასა და წევრ სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილ ტრანსატლანტიკურ დეკლარაციაში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ დახმარებას, რომელსაც ვაშინგტონი უწევს ევროპელი პარტნიორის სტაბილურ, დემოკრატულ განვითარებას. ნატო-ს ეგიდით აშშ-ის ალიანსი ევროკავშირის მრავალ წევრ სახელმწიფოსთან ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის, ფოლადის წარმოებისა და სამოქალაქო ავიაციის გარშემო შექმნილი დაძაბულობის განელებას. 1995 წლის დეკემბერში შემუშავებული ტრანსატლანტიკური გეგმის ფარგლებში შედგა ორი სამიტი აშშ-სა და ევროკავშირს შორის, სადაც განხილული იქნა მათ შორის თანამშრომლობის შესაძლო სფეროები. XX საუკუნის დასასრულს საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, განსაკუთრებით კი ცივი ომის ეპოქის დამთავრებამ, მოკავშირეების წინაშე დღის წესრიგში ტრანსატლანტიკური კავშირის როლის გადასინჯვის აუცილებლობა დააყენა. დღეს ევრო-ამერიკულმა თანაშრომლობამ ახალი მიზნები უნდა დასახოს და უნდა გაერთიანოს თავისი ძალისხმევა ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიც არის ბირთვული იარაღის გავრცელება, სხვადასხვა უმცირესობათა უფლებების დაცვა, საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციების ზრდა, ნარკობიზნესი, არალეგალური მიგრაციები და სხვა. ვაჭრობისა და ინვესტიციების თვალსაზრისით ევროკავშირი აშშ-ის ძირითადი პარტნიორია და ერთადერთი, ვისთანაც მას გაწონასწორებული ურთიერთობა აქვს. თუმცა ზოგჯერ ადგილი პქონია აშშ-ის კონგრესის მხრიდან ცალმხრივი, ექსტრა-ტერიტორიული ქმედებების განხორციელებას (ჰელმს-ბარტონის და ამატო-კენედის აქტები), რაც საფრთხეს უქმნის ევროპის ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე. ევრო თანდათანობით შემოვა საფინანსო ბაზარზე; მოსალოდნელია, რომ ის კონკურენციასაც კი გაუწევს ამერიკულ დოლარს და ეროვნული რეზერვის ერთეულადაც იქნება გამოყენებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროკავშირის ურთიერთობა იაპონიასთან, მის მეორე ინდუსტრიულ პარტნიორთან. საკმაოდ დიდი ხანია ევროპელთა მთავარი საზრუნავია, დაიყოლიონ იაპონია, გახსნას თავისი შიდა ბაზარი ევროპული პროდუქციისათვის. ამით მიღწეული იქნება ევროპულ ბაზარზე იაპონური საქონლის ინტენსიური შემოღწევის ერთგვარი კომპენსაცია. ევროკავშირი ცდილობს გააღრმავოს ურთიერთობა იაპონიასთან, გააქტიუროს პოლიტიკური დიალოგი, გაძლიეროს სავაჭრო და ეკონომიკური კავშირები.

ევროკავშირის ურთიერთობა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან: ხმელთაშუაზღვისპირა პოლიტიკის გადასვლა ახალ ფაზაში

სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები ევროკავშირისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან პარტნიორებს წარმოადგენენ. ეს განპირობებულია მათი გეოგრაფიული სიახლოვით, ისტორიული და კულტურული კავშირებით, ასევე არსებული და პოტენციური მიგრაციული პროცესებით. აქ

ევროკავშირი ტრადიციულად ახორციელებს რეგიონული ინტეგრირების პოლიტიკას, რომელიც „ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისადმი საერთო მიდგომის" სახელით არის ცნობილი.

ევროკავშირის ხმელთაშუაზღვისპირა მეზობლები პირველთაგანნი იყვნენ, ვინც განსაკუთრებული ურთიერთობა დაამყარა მასთან ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროში. ისინი ევროკავშირის ძალზე მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან. ეს პარტნიორობა მხოლოდ ვაჭრობით არ შემოიფარგლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის კულტურული და ისტორიული კავშირები, რომლებიც ზოგიერთ მათგანს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან აკავშირებს.

ევროკავშირი ხმელთაშუაზღვისპირა რეგიონის ბევრ ქვეყანასთან არის დაკავშირებული ასოცირებული შეთანხმებებით ან შეთანხმებებით თანამშრომლობის შესახებ.

- კვიპროსი, მალტა და თურქეთი ევროკავშირთან დაკავშირებულნი არიან ასოცირებული შეთანხმებით, რომელიც გულისხმობს თანდათანობით საბაჟო კავშირის შექმნას. თითოეულმა ამ სახელმწიფოთაგან შეიტანა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე (თურქეთმა 1987 წელს, კვიპროსმა და მალტამ – 1990 წელს). ჯერჯერობით დადებითი გადაწყვეტილება ევროკომისიის მიერ მხოლოდ კვიპროსის მიმართ არის მიღებული.
- მაღრების (ალჟირი, მაროკო და ტუნისი) და მაშრექის (ეგვიპტე, იორდანია, ლიბანი, სირია, პალესტინის ტერიტორიები) ქვეყნები და ისრაელი ევროკავშირთან დაკავშირებულნი არიან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებით, რომლებიც გულისხმობს სავაჭრო და ინდუსტრიულ თანამშრომლობას და ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებებს.

შეაჯამა რა ევროკავშირის მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგები, ევროპარლამენტმა ხაზი გაუსვა ამ პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობას. მისი მოთხოვნით ზოგადი პოლიტიკური კურსი უფრო მეტად გაწონასწორებული უნდა იყოს. გასათვალისწინებელია ისეთი პრობლემების წამოჭრა, როგორიც არის კონფლიქტური სიტუაციები და არასტაბილურობა, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ძალიან მაღალი ტემპი, უმუშევრობა (20%-ზე მეტი), საგარეო ვალი, შიდა ეკონომიკური განვითარების არასაკმარისი ტემპი, საკვები პროდუქტების მასიური იმპორტი, გადასახადები და სხვა. ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეობის შემდგომ განვითარებას. პრიორიტეტულ მიმართულებებად მიჩნეულია გარემოს დაცვა, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის განვითარება, რეგიონული თანამშრომლობა. იგივე დასკვნამდე მივიდა ევროკომისიაც.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ევროკავშირი თავის ახალ ხმელთაშუაზღვისპირა პოლიტიკაში სამ ეტაპს გამოყოფს:

- 1992 წელს თანამეგობრობამ დასახა ევროპასა და მაღრების ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარების ამოცანა;
- 1993 წელს ევროკავშირმა დაამყარა მუდმივი თანამშრომლობა ისრაელთან და მაღრების არაბულ სახელმწიფოებთან;
- ამ ინიციატივებს საბოლოოდ საერთო ევროხმელთაშუაზღვისპირა თანამშრომლობამდე მივყავართ, რასაც საფუძველი ჩაუყარა ისრაელთან, მაროკოსთან და ტუნისთან ასოცირებული შეთანხმებების დადებამ.

1995 წელს ბარსელონას კონფერენციაზე ევროკავშირის მიერ საფუძველი ჩაეყარა ახალ ევრო-ხმელთაშუაზღვისპირა თანამშრომლობას. კონფერენციას დაესწრო ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო და ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველა ქვეყანა ლიბიის, ალბანეთისა და ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების გარდა. კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ახალი თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები:

- პოლიტიკური დიალოგი და უსაფრთხო თანამშრომლობა ცალკეულ ქვეყნებს შორის; კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის და შეიარაღებაზე კონტროლის მექანიზმების შემუშავება;
- რეგიონებს შორის ეკონომიკური და საავაჭრო კავშირების გაღრმავება. ძირითადი ყურადღება აქ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დადგენილებას - 2010 წლისთვის ევრო-ხმელთაშუაზღვისპირა რეგიონის თავისუფალ საავაჭრო ზონად გამოცხადებას - ეთმობა. ამით გაჩნდება შესაძლებლობა ტრანსხმელთაშუაზღვისპირა ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის დაუბეგრავი მოძრაობისა და შეიქმნება მსოფლიოში უდიდესი (600 მილიონი მომხმარებლის) თავისუფალი საავაჭრო ზონა;
- თანამშრომლობა სოციალურ, კულტურულ და საზოგადოებრივ სექტორებში.

მოგვიანებით დასაბამი დაედო უამრავ სხვადასხვა სახის ურთიერთობას ევროკავშირსა და ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებს შორის. 1997 წლის 15-16 აპრილს მალტაში გამართულ მეორე მთავრობათაშორის კონფერენციაზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა ბარსელონაში შემუშავებული პოლიტიკური ხაზის გატარების აუცილებლობა. არაბეთსა და ისრაელს შორის პოლიტიკური კლიმატის გაუარესებამ, განსაკუთრებით კი მდგომარეობამ პალესტინის ტერიტორიებზე, შეზღუდა ამ კონფერენციათა მასშტაბი.

MEDA-ს დებულების შესაბამისად, 1995–1999 წლების პერიოდისათვის ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებისათვის გამოყოფილი იქნა 4,685 მილიარდი ეკიუს ოდენობის ფინანსური დახმარება.

ევროკავშირი ჩართულია ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების რამდენიმე მსხვილი პროექტის განხორციელებაში. აღსანიშნავია ევროპის საინვესტიციო ბანკის გრძელვადიანი კრედიტები. ამგვარად, ევროკავშირი ძირითადი დონორი ორგანიზაციაა, რომელიც აფინანსებს პალესტინური ტერიტორიების განვითარებას (საერთაშორისო დახმარების 45%) და ყველანაირად უწყობს ხელს ხმელთაშუაზღვისპირეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების რეფორმირებას.

აფრიკა, ლათინური ამერიკა და აზია

თანამეგობრობის ურთიერთობა საპარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებთან 1957 წლიდან იღებს დასაბამს.

1960 წელს დაწყებული დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად ეს კავშირი სუვერენულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ახალ ფორმაში გადავიდა და განისაზღვრებოდა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 310-ე (ყოფილი 238-ე) მუხლით. დღეისათვის აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის 71 ქვეყანას ლომეს მეოთხე კონვენციის საფუძველზე (1990-2000) ხელსაყრელი თანამშრომლობა აქვს დამყარებული ევროკავშირთან; სწორედ ამ კონვენციის თანახმად გადაწყდა ამ ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების განახლება. ევროპის განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი ეს დახმარება ითვალისწინებს 13.3 მილიარდი ეკიუს გადაცემას სუბსიდიებისა და დაბალპროცენტიანი სესხების სახით და მოხმარდება ეკონომიკური და სოციალური საინვესტიციო პროგრამების განხორციელებას აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში. გარდა ამისა, ყურადღება ეთმობა ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის განვითარებას.

კონვენციის თანახმად, აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების

მიერ წარმოებული სამრეწველო პროდუქციის 99% დაუბეგრავად შედის თანამეგობრობის ქვეყნებში, მაშინ, როცა ანალოგიური შეღავათი არ ვრცელდება თანამეგობრობის სამრეწველო პროდუქციაზე. ახლადმიღებული „სტაბექსის" (Stabex) მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 48 სახეობას, ხელს უწყობს აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების საექსპორტო შემოსავლების სტაბილიზებას. ანალოგიურად მოქმედებს „სისმინის" (Sysmin) სისტემაც, რომელიც ითვალისწინებს დახმარებას წიაღისეული რესურსების მოპოვების სფეროში. ლომეს კონვენციის საფუძველზე მოხდა, აგრეთვე, პოლიტიკურ ურთიერთობათა ინსტიტუციონალიზება მინისტრთა საბჭოს, ელჩთა კომიტეტისა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებისა და ევროკავშირის გაერთიანებული ასამბლეის მეშვეობით. ამ ასამბლეაში თანამეგობრობას ევროპარლამენტის წევრები წარმოადგენენ.

აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებისა და ევროკავშირის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებისა და ევროკავშირის თანამშრომლობას დღეს გამოცოცხლება ესაჭიროება. ევროპარლამენტმა დასახა ცხრა ძირითადი მიმართულება იმისა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ურთიერთობა აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის უახლოეს წლებში. პროექტი, ძირითადად, შემდეგში მდგომარეობს: უცვლელი უნდა დარჩეს ლომეს კონვენციის გეოგრაფიული ასპექტები; მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიტიკურ საკითხებს, რაც დემოკრატიულ ძალთა კონსოლიდაციაში და ადამიანის უფლებების დაცვაში გამოიხატება.

ახალი კონვენციის მთავარი ამოცანაა ბრძოლა აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში სიღატაკის წინააღმდეგ. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია განსაკუთრებით ღარიბი ქვეყნებისადმი დახმარების გაწევაზე.

აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებისა და ევროკავშირის თანამშრომლობის სპეციალური მექანიზმების (Stabex, Sysmin) გადასინჯვა მიზნად ისახავს, აღმოიფხვრას აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების დამოკიდებულება შეზღუდული რაოდენობის ძირითად სასურსათო საქონელზე.

თანამშრომლობის ახალი ფორმის დანერგვა ხელს შეუწყობს ევროკავშირის პოლიტიკის განვითარებას აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში.

თანამშრომლობა ევროკავშირსა და აზიისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებს შორის ნაკლებად მოწესრიგებულია. შეღავათების სისტემა, რომელიც განაპირობებს ამ ქვეყნების ექსპორტის დაბეგვრის დაბალ მაჩვენებლებს და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას, საკმაოდ მომგებიანია მათთვის. ევროკავშირს დადებული აქვს შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ არგენტინასთან, ბრაზილიასთან, მექსიკასთან, ურუგვაისთან და ანდების მიმდებარე ქვეყნების ჯგუფთან (ბოლივია, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ და ვენესუელა). ამ შეთანხმებათა მიზანია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციისთვის ხელის შეწყობა. 1995 წლის დეკემბერში, ევროპული საბჭოს მადრიდის სხდომაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, თანამეგობრობამ მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული თანამშრომლობა წარიმართოს შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: ინსტიტუციური რეფორმები და დემოკრატიული პროცესების კონსოლიდაცია, ბრძოლა სიღატაკისა და საზოგადოებიდან გარიყვის წინააღმდეგ და, ბოლოს, ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა. სან-ხოსეს კონფერენციაზე და რიოს ჯგუფის სხდომებზე შედგა შეხვედრა ევროკავშირის წარმომადგენლებსა და რეგიონულ პარტნიორებს შორის. გარდა ამისა, თანდათანობით დაიდო შეთანხმებები რეგიონული თანამშრომლობის შესახებ არგენტინასა და მექსიკასთან.

ურთიერთობა ევროკავშირსა და აზიას შორის ემყარება „ახალ აზიურ სტრატეგიას," რომელიც მიღებული იქნა 1994 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს ესსენის სხდომაზე. ეს სტრატეგია მიზნად ისახავს სავაჭრო და ინდუსტრიული თანამშრომლობის განვითარებას, ასევე თანამშრომლობის გაღრმავებას ინვესტირების, ბიზნესის, სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სფეროებში.

1996 წლის 1-2 მარტს შემდგარი ევროპა-აზიის პირველი სამიტი იძლევა ევროპის, აზიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამკუთხედში არსებული ცნობილი „სუსტი რგოლის" გაძლიერების შესაძლებლობას. პარტნიორების მიერ დაისახა ძირითადი მიმართულებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ვაჭრობის სფეროში ღია, მრავალმხრივი სისტემის ჩამოყალიბებას და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას. თანამშრომლობის ამგვარი გაღრმავება ხელს უწყობს ევროკავშირის პოზიციების გაძლიერებას აზიაში, რომელიც მის მთავარ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს (კავშირის საგარეო ვაჭრობის 23%).

როგორც ცალკეული წევრი სახელმწიფოები, ისე მთლიანად ევროკავშირი განვითარებადი ქვეყნების უმნიშვნელოვანეს პარტნიორს წარმოადგენენ. მათზე მოდის ამ ქვეყნების ექსპორტის 21.5% და მათთვის გაწეული ოფიციალური დახმარების 36%. 1995 წელს ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დახმარების 33.8% აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებზე მოდის, 11% — სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ხოლო 18% — ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნებზე. ამ დახმარებათა 2/3 განვითარების პროგრამებს მოხმარდა, 1/3 კი საკვები პროდუქტებით მომარაგებას. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. დღეს კავშირმა უნდა ეძებოს გზები იმ პრობლემათა დასაძლევად, რომელთა მიზეზია ცხოვრების დონის მკვეთრი განსხვავება თანამეგობრობის ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის და აფრიკის ქვეყნებს შორის. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც გეოგრაფიულად ასე ახლოს არიან და, ამავე დროს, განვითარების თვალსაზრისით ასე ჩამორჩებიან ევროპას.

როგორი იქნება ევროპა 21-ე საუკუნეში?

ინტეგრაციის პროცესი, დაწყებული მაშინ, როდესაც ექვსმა სახელმწიფომ შექმნა თანამეგობრობა, სადაც 1973 წელს უკვე ცხრა წევრი იყო, 1981 წელს – ათი, 1986 წელს – თორმეტი, 1995 წელს – თხუთმეტი, და რომელიც მომავალი ათწლეულის ბოლოსათვის შეიძლება ოცდახუთი წევრის თანამეგობრობად იქცეს, დღემდე ინარჩუნებს ძალას. ომისშემდგომ პერიოდში ისეთი პრობლემები წამოიჭრა, რომ აუცილებელი გახდა ეროვნებათა შერიგება და აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკის განახლება. ევროპის წინაშე მდგარი ამოცანები ნახევარი საუკუნის შემდეგაც წინანდებურად მნიშვნელოვანია. კომუნისტური ბლოკის ნანგრევებიდან აღმოცენებული ახალი დემოკრატიული საზოგადოებები მეზობლებისგან დახმარებას ელიან. ევროპის კონტინენტის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და გეოგრაფია საბოლოოდ შეიძლება მოწესრიგდეს.

სწორედ ამიტომ ევროკავშირის კარი ღიაა ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის. ეს ნიშნავს, რომ არსებულმა და მომავალმა წევრმა სახელმწიფოებმა ორი პრობლემა უნდა გადაჭრან. პირველი პრობლემაა ის, თუ როგორ უნდა გაფართოვდეს ევროკავშირი ისე, რომ ძირი არ გამოეთხაროს გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს ან კავშირის პოლიტიკურ ინდივიდუალობას, რადგან მისი ინსტიტუტების შექმნისას წევრი სახელმწიფოების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე დღეს, ხოლო მეორე პრობლემაა, თუ როგორ უნდა განავითარონ ასეთი განსხვავებული ნიადაგისა და კულტურის ხალხებმა ერთად ცხოვრების სურვილი, იქნებიან თუ არა ისინი მზად თავიანთი სუვერენიტეტის ნაწილის დასათმობად.

ნამდვილად ბედის ირონია იქნება, თუ ახალი წევრების მიღება დაემუქრება იტეგრაციისადმი თანამეგობრობის ტრადიციულ დამოკიდებულებას სწორედ მაშინ, როცა ამ დამოკიდებულებამ დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა, გაავრთიანა რა და მძლავრ, ერთსულოვან მთლიანობად აქცია ამჟამინდელი წევრები. მაგრამ არ ღირს ამ საშიშროების გაზვიადება. ახალი წევრების მიღების ერთ-ერთი პირობაა, რომ მათ მთლიანად უნდა გაიზიარონ თანამეგობრობის არსებული კანონმდებლობა და შეუერთდნენ ერთიან პოლიტიკას. არ შეიძლება რაიმე გამონაკლისის დაშვება, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია დადგენილებაში გარდამავალი პერიოდისათვის.

გარდა ამისა, მომავალმა წევრებმა უნდა გაიზიარონ მაასტრიხტში დასახული პატივმოყვრული მიზნებიც – ეკონომიკური და სავალუტო კავშირი არაუგვიანეს 1999 წლისა და პოლიტიკური კავშირი, რომელიც გულისხმობს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას. დაუშვებელია რაიმე გაუგებრობა ევროკავშირში გაწევრიანების (ახლა და მოგვიანებით) მსურველი ქვეყნების დამოკიდებულებაში. ევროკავშირის სიძლიერის წყარო კვლავ იმ წესების შესრულება და ტრადიციების პატივისცემა იქნება, რომლებმაც თანამეგობრობა თავიდანვე კონვენციური ორგანიზაციებისგან განსხვავებულ პოზიციაზე დააყენეს. ევროკავშირი, რომელიც აერთიანებს მთავრობებს შორის თანამშრომლობისა და ფედერაციის ელემენტებს, ექვემდებარება როგორც იერარქიულ, ისე ერთობლივი მოქმედების პრინციპს. მისი მიზანია ევროპის ყველა დემოკრატიული საზოგადოების დაახლოება. ეს პროცესი ეტაპებად წარიმართება და გაითვალისწინებს ამ საზოგადოებათა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეს.

შეუძლებელია იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ როგორი იქნება ევროპა მომავალში, მაგრამ, საუკუნის დასასრულისათვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ზოგი რამ შეიძლება ვივარაუდოთ:

– ევროკავშირის დღევანდელი წევრი თხუთმეტი სახელმწიფო მაასტრიხტის მოლაპარაკებისას აღებული ვალდებულებების თანახმად (რაც ასახულია ამსტერდამის ხელშეკრულებაში) გააგრძელებს ეკონომიკური, სავალუტო და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესს. დადებული შეთანხმებები შეასრულებს „ხიდების" როლს თანამეგობრობის ინსტიტუტებს და პროცედურებსა და დიპლომატიურ თანამშრომლობას შორის. ევროპარლამენტი სრულად გამოიყე-

ნებს თავის ახალ, გადაწყვეტილებათა მიღების, უფლებამოსილებას.

– ხელშეკრულებათა შესწორებების გათვალისწინებით ინსტიტუტების საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს მომავალი გაფართოების პერსპექტივას. უნდა გაფართოვდეს თანამშრომლობა მართლმსაჯულებასა და შინაურ საქმეებში. ხოლო საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა განავითარონ უფრო რეალურმა სტრუქტურებმა, რომლებიც დაეყრდნობიან დასავლეთ ევროპის კავშირის (WEU) გამოცდილებას და საბოლოოდ ევროკავშირის ჩვეულებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბდებიან.

- ევროკავშირი ნატო-ში საკუთარ პოლიტიკურ ინდივიდუალობას გამოაცალენს და ჩამოყალიბდება მთავარ ტრანსატლანტიკურ ფორუმად ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. გარდა ამისა, ევროკავშირი, ლომეს კონვენციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე (მაგალითად, გაერო-ზე) თავისი გავლენის წყალობით, წამყვან როლს ითამაშებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაახლოებაში.
- მოლაპარაკებები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და კვიპროსთან, მათივე მიზეზით, 1998 წლიდან მომავალი საუკუნის დასაწყისისთვის არის გადადებული.
- ის წევრი სახელმწიფოები, რომლებშიც ევრო იქნება გავრცელებული, რეგულარულად გაუზიარებენ ერთმანეთს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ეკონომიკურ და საგალუტო კონვერგენციასთან და ბიუჯეტის, საგადასახადო სისტემისა და სოციალური პოლიტიკის განვითარებასთან, ვინაიდან ეს აუცილებელია კონვერგენციისთვის. ზოგიერთი წევრი სახელმწიფო უკვე მისდევს ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულ პრინციპს უფრო ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს მათ, უფრო დინამიური გახადონ გარკვეული სექტორები.
- 25 წევრისგან შემდგარი ევროკავშირი მომავალი ათწლეულის დასასრულისათვის რეალობად იქცევა. უკვე არსებობს პოლიტიკური, კომერციული, საგალუტო და სტრატეგიული ევროპა. ევროპარლამენტის განმეორებითი მოთხოვნის საფუძველზე ევროკავშირს ექნება კონსტიტუცია, რომელშიც განისაზღვრება ურთიერთობა ევროკავშირს, წევრ სახელმწიფოებსა და მათ მოქალაქეებს შორის.

21-ე საუკუნის დასაწყისის ევროპის ხედვა თეორიულია და არასრული. დღეისათვის თანამეგობრობაში გაერთიანებული წევრები 21-ე საუკუნის ევროკავშირს მთელი კონტინენტის მამოძრავებელ ძალად განიხილავენ, მომავალი წევრებისთვის კი მთავარი ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური მიზნების განუხრელი განხორციელება იქნება. ამ პატიოემოყვრული მიზნების მიღწევის ერთადერთი საშუალებაა თანამეგობრობისათვის თავდაპირველად დასახული კურსით სიარული.

უმნიშვნელოვანესი თარიღები ევროპული ინტეგრაციის ისტორიაში



1950

9 მაისი

ჟან მონეს მიერ შთაგონებულ სიტყვაში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა წამოაყენა წინადადება, რომ საფრანგეთმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და ევროპის ნებისმიერმა ქვეყანამ, რომელსაც სურს მათთან შეერთება, უნდა გააერთიანონ თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსები.

1951

18 აპრილი

ექვსმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც პარიზში დაარსდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანება.

1952

27 მაისი

პარიზში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის თავდაცვითი გაერთიანება (EDC).

1954

30 აგვისტო

საფრანგეთის პარლამენტმა უარყო ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ.

20-დან 23 ოქტომბრამდე

ლონდონის კონფერენციის შემდეგ პარიზში ხელმოწერილი იქნა შეთანხმებები ბრიუსელის მოდიფიცირებული ხელშეკრულების შესახებ და დაარსდა დასავლეთ ევროპის კავშირი.

1955

1 და 2 ივნისი

ექვსი დამაარსებელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდნენ ერთმანეთს მესინაში და გადაწყვიტეს ევროპული ინტეგრაციის გავრცელება ეკონომიკის ყველა სფეროზე.

1957

25 მარტი

რომში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე დაარსდა ევროპის

ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ევროპის თანამშრომლობის ორგანიზაცია ატომური ენერგიის დარგში.

1958

1 იანვარი

ძალაში შევიდა რომის ხელშეკრულებები და ბრიუსელში ჩამოყალიბდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ატომური ენერგიის დარგში ევროპის თანამშრომლობის ორგანიზაციის კომისიები.

1960

4 იანვარი

გაერთიანებული სამეფოს ინიციატივით ხელმოწერილი იქნა სტოკჰოლმის კონვენცია, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპაში თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია.

1962

30 ივლისი

შემოღებული იქნა საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა.

1963

14 იანვარი

გენერალმა დე გოლმა პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ თანამეგობრობაში გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით საფრანგეთი გამოიყენებს ვეტოს უფლებას.

20 ივლისი

იაუნდეში ხელმოწერილი იქნა ასოცირებული შეთანხმება ევროგაერთიანებასა და აფრიკის 18 სახელმწიფოს შორის.

1965

8 აპრილი

ბრიუსელში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოხდა სამი თანამეგობრობის აღმასრულებელ ხელისუფლებათა შერწყმა. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 1967 წლის 1 ივლისს.

1966

29 იანვარი

მიღწეულია „ლუქსემბურგის კომპრომისი"; საფრანგეთმა კვლავ დაიკავა თავისი ადგილი სბჭოში, სანაცვლოდ კი შენარჩუნებული იქნა გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პროცედურა, როდესაც საფრთხე ემუქრება სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებს.

1968

1 ივლისი

განრიგით გათვალისწინებულზე 18 თვით ადრე სამრეწველო საქონლით თანამეგობრობის შიდა ვაჭრობაში უქმდება შემორჩენილი საბაჟო გადასახადები და შემოღებულია საბაჟოების საერთო ტარიფი.

1969

1 და 2 დეკემბერი

ჰაგის სამიტზე წევრი სახელმწიფოების თუ მათი მთავრობების მეთაურებმა გადაწყვიტეს გარდამავალი პერიოდის დასრულება, რისთვისაც მიიღეს გადამწყვეტი ზომები საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემოსაღებად და შეთანხმდნენ, რომ თანამეგობრობას მისცენ მისი საკუთარი რესურსები.

1970

22 აპრილი

ლუქსემბურგში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თანდათანობით უნდა შემოღოთ საკუთარი რესურსების სისტემა. გარდა ამისა, ხელშეკრულებამ გააფართოვა ევროპარლამენტის საბიუჯეტო უფლებამოსილება.

30 ივნისი

ლუქსემბურგში დაიწყო მოლაპარაკება ოთხ მომავალ წევრთან (დანიასთან, ირლანდიასთან, ნორვეგიასა და გაერთიანებულ სამეფოსთან).

1972

22 იანვარი

ბრიუსელში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება დანიის, ირლანდიის, ნორვეგიისა და გაერთიანებული სამეფოს გაწევრიანების შესახებ.

24 აპრილი

შემოღებულია სავალუტო "snake"; ევროკავშირის დამაარსებელი ექვსი სახელმწიფო შეთანხმდა იმის თაობაზე, რომ 2.25%-ით შემოეფარგლა ცვალებადობის ზღვარი მათ ფულად ერთეულებს შორის.

1973

1 იანვარი

დანია, ირლანდია და გაერთიანებული სამეფო უერთდებიან ევროგაერთიანებას (რეფერენდუმის შემდეგ ნორვეგიამ უარი თქვა გაწევრიანებაზე).

1974

9 და 10 დეკემბერი

პარიზის სამიტზე წევრი სახელმწიფოების თუ მათი მთავრობების მეთაურებმა გადაწყვიტეს, ევროპული საბჭოს სახით შეიკრიბონ წელიწადში სამჯერ; გარდა ამისა, დაადგინეს ევროპის პარლამენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება საყოველთაო კენჭისყრის საშუალებით და შეთანხმდნენ ევროპის რეგიონული განვითარების ფონდის დაარსებაზე.

1975

28 თებერვალი

ლომეში ხელმოწერილი იქნა პირველი კონვენცია თანამეგობრობასა და აფრიკის, კარიბის ზღვისპირეთისა და წყნარი ოკეანის აუზის 46 სახელმწიფოს შორის.

22 იელისი

ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ევროპარლამენტს უფრო ფართო საბიუჯეტო უფლებამოსილება მიენიჭა და დაარსდა აუდიტორთა სასამართლო. ეს ხელშეკრულება ძალაში შევა 1977 წლის 1 ივნისს.

1978

6 და 7 იელისი

ევროპული საბჭოს ბრემენის სხდომაზე საფრანგეთმა და გერმანიამ წარმოადგინეს გეგმა ფულადი პოლიტიკის სფეროში უფრო მჭიდრო ურთიერთობის შესახებ (ევროპის მონეტარული სისტემა), რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა სავალუტო "snake"-ის შეცვლა.

1979

13 მარტი

მოქმედებას იწყებს ევროპის მონეტარული სისტემა.

28 მაისი

ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ევროგაერთიანებას შეუერთდა საბერძნეთი.

7 და 10 ივნისი

ჩატარდა 410 ადგილიანი ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები.

31 ოქტომბერი

ლომეში ხელმოწერილი იქნა მეორე კონვენცია თანამეგობრობასა და აფრიკის, კარიბის ზღვისპირეთისა და წყნარი ოკეანის აუზის 58 სახელმწიფოს შორის.

1981

1 იანვარი

ევროგაერთიანებას უერთდება საბერძნეთი.

1984

28 თებერვალი

მიღებული იქნა ევროპის სტრატეგიული პროგრამა საინფორმაციო ტექნოლოგიის სფეროში სამეცნიერო კვლევისა და განვითარებისათვის (Esprit).

14 და 17 ივნისი

მეორედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

8 დეკემბერი

ტოგოში ხელმოწერილი იქნა ლომეს მესამე კონვენცია ევროგაერთიანების ათ წევრსა და აფრიკის, კარიბის ზღვისპირეთისა და წყნარი ოკეანის აუზის 66 სახელმწიფოს შორის.

1985

იანვარი

ევროკომისიის პრეზიდენტად ინიშნება ჟაკ დელორი.

2-დან 4 დეკემბრამდე

ევროპული საბჭოს ლუქსემბურგის სხდომაზე ევროგაერთიანების წევრი ათი სახელმწიფო თანხმდება რომის ხელშეკრულებაში შესწორებათა შეტანაზე და „ერთიანი ევროპული აქტის" შემუშავებით ევროპული ინტეგრაციის პროცესის გამოცოცხლებაზე.

1986

1 იანვარი

ევროგაერთიანებას უერთდებიან ესპანეთი და პორტუგალია.

17 და 28 თებერვალი

ლუქსემბურგში და ჰაგაში ხელმოწერილი იქნა ერთიანი ევროპული აქტი.

1987

14 აპრილი

განაცხადი ევროგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ წარადგინა თურქეთმა.

1 ივლისი
ძალაში შედის ერთიანი ევროპული აქტი.

27 ოქტომბერი
დასავლეთ ევროპის კავშირი ჰაგაში ღებულობს უსაფრთხოების ერთობლივი პოლიტიკის პლატფორმას.

1988

თებერვალი
განხორციელდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის პოლიტიკის დაფინანსების რეფორმა. დადგენილია ხარჯების მრავალწლიანი პროგრამა 1988-92 წლებისათვის. სტრუქტურული ფონდების რეფორმა.

1989

იანვარი
ჟაკ დელორი კიდევ ოთხი წლით ინიშნება ევროკომისიის პრეზიდენტად.

15 და 18 ივნისი
მესამედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

17 ივლისი
განაცხადი ევროგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ წარადგინა ავსტრიამ.

9 ნოემბერი
ბერლინის კედლის დანგრევა.

9 დეკემბერი
ევროპული საბჭოს სტრასბურგის სხდომაზე გადაწყდა მთავრობათაშორისი კონფერენციის მოწვევა.

15 დეკემბერი
ხელმოწერილი იქნა ლომეს მეოთხე კონვენცია აფრიკის, კარიბის ზღვისპირეთისა და წყნარი ოკეანის აუზის სახელმწიფოებთან.

1990

29 მაისი
პარიზში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

19 ივნისი
ხელმოწერილი იქნა შენგენის შეთანხმება სასაზღვრო შემოწმების გაუქმების თაობაზე.

4 ივლისი
განაცხადი ევროგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ წარადგინა კვიპროსმა.

16 ივლისი
განაცხადი ევროგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ წარადგინა მალტამ.

3 ოქტომბერი
გერმანიის გაერთიანება.

14 დეკემბერი
რომში გაიხსნა ორი მთავრობათაშორისი კონფერენცია, ერთი — ეკონომიკური და სავალუტო კავშირის, ხოლო მეორე — პოლიტიკური კავშირის თემაზე.

1991

1 ივლისი
განაცხადი ევროგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ წარადგინა შვეციამ.

21 ოქტომბერი
მიღწეულია შეთანხმება ევროპის ეკონომიკური ზონის (EEA) დაარსების თაობაზე. ეს ზონა დააკავშირებს ევროგაერთიანებას აღმოსავლეთევროპელ მეზობლებთან.

9 და 10 დეკემბერი
ევროპული საბჭოს მაასტრიხტის სხდომა.

1992

7 თებერვალი
მაასტრიხტში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ.

18 მარტი
განაცხადი ევროგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ წარადგინა ფინეთმა.

25 მარტი
განაცხადი ევროგაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ წარადგინა ნორვეგიამ.

2 მაისი
პორტოში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ.

2 ივნისი
რეფერენდუმის შედეგად დანია უარს ამბობს, შეუერთდეს ევროკავშირს.

20 ივნისი
რეფერენდუმის შედეგად ირლანდია ხელს აწერს მაასტრიხტის ხელშეკრულებას.

20 სექტემბერი
რეფერენდუმის შედეგად საფრანგეთი უერთდება მაასტრიხტის ხელშეკრულებას.

11 და 12 დეკემბერი
ევროპული საბჭოს ედინბურგის სხდომა.

1993

1 იანვარი
დაარსებულია საერთო ბაზარი.

18 მაისი
ხელმეორედ ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად დანია უერთდება მაასტრიხტის ხელშეკრულებას.

1 ნოემბერი
ძალაში შედის მაასტრიხტის ხელშეკრულება.

1994

1 აპრილი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა უნგრეთმა.

8 აპრილი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა პოლონეთმა.

15 აპრილი
მარაკეშში ხელმოწერილი იქნა "GATT"-ის მოლაპარაკებათა ურუგვაის რაუნდის დასკვნითი აქტი.

9 და 12 ივნისი
მეოთხედ ჩატარდა ევროპარლამენტის წევრთა პირდაპირი არჩევნები.

რეფერენდუმის შედეგად ავსტრია უერთდება მაასტრიხტის ხელშეკრულებას.

24 და 25 ივნისი
ევროპული საბჭოს კორფუს სხდომა.

ავსტრიის, ფინეთის, ნორვეგიისა და შვეციის მიერ ხელმოწერილია ხელშეკრულებები ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე.

16 ოქტომბერი
ფინეთში ჩატარებულ რეფერენდუმზე მოწონებულია მაასტრიხტის ხელშეკრულება.

13 ნოემბერი
რეფერენდუმის შედეგად შვეცია უერთდება მაასტრიხტის ხელშეკრულებას.

27 და 28 ნოემბერი
რეფერენდუმის შემდეგ ნორვეგია უარს ამბობს ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

9 დეკემბერი
ევროპული საბჭოს ესენის სხდომა.

1995

1 იანვარი
ევროკავშირს უერთდებიან ავსტრია, ფინეთი და შვეცია.

23 იანვარი
მუშაობას იწყებს ახალი ევროკომისია, რომლის პრეზიდენტია ჟაკ სანტერი (1995-2000).

26 მარტი
ძალაში შედის შენგენის შეთანხმება.

2 ივნისი
ხელშეკრულებათა შესწორებაზე პასუხისმგებელი ახალი მთავრობათაშორისი კონფერენციის მოსამზადებელი ჯგუფი ატარებს პირველ შეხვედრას.

12 ივნისი
დადებულია ევროპული შეთანხმებები ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან.

22 ივნისი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა რუმინეთმა.

26 და 27 ივნისი
ევროპული საბჭოს კანის სხდომა. მოსამზადებელ ჯგუფს დაევალა მთავრობათაშორისი კონფერენციისთვის მომზადება.

27 ივნისი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა სლოვაკიამ.

27 ოქტომბერი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა ლატვიამ.

24 ნოემბერი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა ესტონეთმა.

27 და 28 ნოემბერი
ბარსელონაში ჩატარდა ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების კონფერენცია.

8 დეკემბერი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა ლიტვამ.

14 დეკემბერი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა ბულგარეთმა.

15 და 16 დეკემბერი
ევროპული საბჭოს მადრიდის სხდომა.

1996

16 იანვარი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა სლოვენიამ.

17 იანვარი
განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ წარადგინა ჩეხეთის რესპუბლიკამ.

29 მარტი
ევროპული საბჭოს ტურინის სხდომაზე იხსნება მთავრობათაშორისი კონფერენცია.

21 და 22 ივნისი
ევროპული საბჭოს ფლორენციის სხდომა.

13 და 14 დეკემბერი
ევროპული საბჭოს დუბლინის სხდომა.

1997

17 თებერვალი
ევროპარლამენტის სხდომაზე ჟაკ სანტერი გამოდის მოხსენებით ე. წ. საქონლის ცოფის (BSE) შესახებ.

16 და 17 ივნისი
ევროპული საბჭოს ამსტერდამის სხდომა.

16 ივლისი
ევროპის პარლამენტს წარუდგინეს „პროგრამა 2000 წლისათვის."

2 ოქტომბერი
ამსტერდამში ხელმოწერილი იქნა „კონსოლიდირებული" ხელშეკრულება.

20 და 21 ნოემბერი
ლუქსემბურგში ჩატარდა სამიტი სამუშაო ადგილების თაობაზე.

12 და 13 დეკემბერი
ევროპული საბჭოს ლუქსემბურგის სხდომა.

1998

1 იანვარი
ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება გაერთიანებული სამეფო.

30 მარტი
იწყება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნისა და კვიპროსის გაწევრიანების პროცესი, რასაც მოჰყვება ორმხრივი მთავრობათაშორისი კონფერენციები ჯერჯერობით კვიპროსთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, ესტონეთთან, ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვენიასთან.

31 მარტი
შენგენი: იმიგრაციული კონტროლის გაუქმება იტალიის სახმელეთო საზღვრებზე.

1-დან 3 მაისამდე
ევროპის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და ევროპული საბჭოს სხდომა. გადაწყვეტილება ევროპის საერთო ვალუტის კავშირის მესამე ეტაპისათვის წევრი სახელმწიფოების მზადყოფნის შესახებ.

15 და 16 ივნისი
ევროპული საბჭოს კარდიფის სხდომა.

1 ივლისი
ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება ავსტრია.

1999

1 იანვარი
ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება გერმანია.

გაზაფხული
ევროპული არჩევნები.

1 ივლისი
ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება ფინეთი.

1 დეკემბერი
შენგენის ზონას უერთდება საბერძნეთი.

2000

1 იანვარი
ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება პორტუგალია.

1 ივლისი
ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება საფრანგეთი.

2002

1 იანვარი
ბრუნვას იწყებენ ევროს მონეტები და ბანკნოტები.

1 ივლისი
უქმდება ეროვნული ფულადი ერთეულების მონეტები და ბანკნოტები.

ევროპული ინტეგრაციის ისტორია

პასკალ ფონტენი, პარიზის პოლიტიკურ
მეცნიერებათა ინსტიტუტის პროფესორი

ინგლისურიდან თარგმნა ანა გეგეჭკორმა

ISBN 92-828-3326-7